პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ.პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

შაბათი,
6
მარტი
1937 წ.
№ 53 (4854)

## საინფორმაციო ცნობა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შესახებ

ამ დღეებში დამთავრდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუცია, რომელიც ქვემოთ ქვეყნდება. პლენუმმა შემდეგ განიხილა სამეურნეო და პარტიული მუშაობის საკითხები და მიიღო სათანადო პრაქტიკული გადაწყვეტილებანი. პლენუმმა განიხილა აგრეთვე ბუხარინისა და რიკოვის ანტიპარტიული საქმიანობის საკითხი და დაადგინა — გამოირიცხოს ისინი საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან.

## მტკიცედ დავიცვათ სტალინური კონსტიტუცია

**სამმა** თვემ განვლო სრულიად-საკავშირო საბჭოების საგანგებო VIII ყრილობის შემდეგ. უკვე სამი თვეა რაც სტალინური კონსტიტუცია, მასში ჩაწერილი უფლება-მოვალეობანი,—კანონია, რომლის დარღვევასაც ვერავინ გაბედავს.

ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში, მათ შორის ყველაზე დემოკრატიულებშიც, ფიქსირებულია მოქალაქეთა მხოლოდ ფორმალური უფლებანი. კაპიტალისტურ სამყაროში სახელმწიფო, მშრომელ კლასებზე ბატონებული უმცირესობის ძალადობის იარაღი, არ ესწრაფვის იმას, რომ ბურჟუაზიული კონსტიტუციების მიერ დეკლარირებული ფორმალური უფლებები ნამდვილ უფლებებად გადააქციოს. ეს სრულებითაც არ შედის მის კლასობრივ ინტერესებში.

სხვა საქმეა სსრ კავშირის კონსტიტუცია. ჩვენში მოქალაქეთა შრომის, განათლების, დასვენების კონსტიტუციური უფლებანი, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში აქტიური მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია, გარანტირებულია ჩვენი საზოგადოების სოციალისტური ბუნებით. მოქალაქის ყველა უფლებათა სადარაჯოზე ჩვენში დგას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. და თუ ზოგიერთ ადგილას მუშის, გლეხის, ინტელიგენტის, რომელიმე მშრომელის უფლებები ჯერ კიდევ ილახება, — ეს სხვა არა არის რა, თუ არა სსრ კავშირის ძირითადი კანონის უხეში დარღვევა. ის, ვინც საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს, მძიმე დანაშაულს სჩადის. სამწუხაროდ, ყველგან და ყველას როდი შეუთვისებია ეს ელემენტარული ჭეშმარიტება.

ამასწინათ არხანგელსკში გამოყოფილ იქნა ახალი რაიონი — ეჟოვის სახელობისა. ქალაქის საბჭო მოვალე იყო შეეკრიბა მშრომელები და აერჩია რაიონული საბჭო. ამის ნაცვლად გამოჰყვეს დეპუტატების ნაწილი ოქტომბრის რაიონული საბჭოდან (რომლის ტერიტორიაზეც გამოყოფილია ახალი რაიონი) და ამრიგად ჩამოაყალიბეს ახალი საბჭო. განა ეს არხანგელსკის ამ რაიონის მცხოვრებთა უფლებებისა და ნებისყოფის უაღრესად უხეში დარღვევა არ არის?!

მეორე, არანაკლებ აღმაშფოთებელი ფაქტი. ამომრჩეველთა — სოჭის ნავსადგურის მშენებელთა ჯგუფმა მიმართა წერილით ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმს. წერილში მკაცრად იყო გაკრიტიკებული სოჭის ქალაქის საბჭოს საქმიანობა. იმის ნაცვლად, რომ ყური ეგდო ამომრჩეველთა ხმა, ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმმა წერილის ავტორებს გამოუძახა თავის სხდომაზე და მოახდინა მათი „მიკერძოებით დაკითხვა“. და ამის შემდეგ სოჭის ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები ბედავენ ილაპარაკონ, რომ ისინი იბრძვიან ახალი კონსტიტუციის გატარებისათვის ცხოვრებაში! არსებითად მათ გააუქმეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქის უმნიშვნელოვანესი უფლება — ანგარიში მოსთხოვოს თავის არჩეულებს; ისინი შეეცადნენ ჩაეხშოთ მასების ცოცხალი ხმა, ჩაეხშოთ თვითკრიტიკა.

ჩვენს ქვეყანაში შვიდსაათიანი სამუშაო დღე მტკიცედ არის მოპოვებული სოციალიზმის მტრებთან უმკაცრეს ბრძოლაში. სავსებით გასაგებია, რომ ადამიანი, რომელიც თავს ჩვენი ქვეყნის ამ მონაპოვრის ხელყოფის ნებას აძლევს, სჩადის დანაშაულს. კურსკის ოლქის დმიტროვსკის რაიონის რაბოტკოვსკის, სპირტის ქარხნის დირექტორმა ქარხნისადმი ბრძანებაში უაღრესად უხეშად დაარღვია საბჭოთა კანონმდებლობა შრომის შესახებ. გაუგონარი ამბავია! მაგრამ ადგილობრივი ლიბერალები ამას სრულიად გულდამშვიდებით მოეკიდნენ და სპირტის ქარხნის დირექტორი დაუსჯელი დასტოვეს. რა ავტორიტეტი ექნებათ დმიტროვსკის რაიონის მოსახლეობაში ადგილობრივ ხელმძღვანელებს, თუ ისინი ბიუროკრატებისაგან (ან იქნებ პირდაპირი მტრებისაგანაც!) არ იცავენ მუშათა კლასის უაღრესად არსებით ინტერესებსა და მონაპოვრებს? შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ახალი არჩევნების დროს კურსკის ოლქის ზემოდასახელებული რაიონის მშრომელები თავიანთ კენჭისყრით გვიჩვენებენ, თუ როგორ შეაფასეს რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა „საქმიანობა“.

საბჭოთა ადამიანს — სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელს — ახასიათებს სამშობლოს სიყვარული, პირადი ღირსების გრძნობა, შეუდრეკელი ნებისყოფა. და არავის ნება არა აქვს მიცემული შელახოს საბჭოთა მოქალაქის ღირსება. მაგრამ პარტიულ მუშაკებს შორისაც მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც არ ესმით ეს, რომლებიც იჩენენ სრულიად დაუშვებელ, ბატონკაცურ დამოკიდებულებას მშრომელთადმი, დამოკიდებულებას, რომელიც კომუნისტს არ შეჰფერის.

ხორეზმის ოკრუგის ახალ ურგენჩში მარტო იმისათვის, რომ საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა უსაშვოდ კანონიერად არ შეუშვა ქარხანაში ოკრუგკომის მდივანი ისრაილოვი, უკანასკნელმა იმდენი ჰქნა, რომ დაცვის უფროსი იაკოვლევი და მორიგე ხალაპსკი სამართალში მისცეს „პარტიის ოკრუგკომის მდივნის შეურაცხყოფისათვის“. ქარხნის დირექტორმა სუსლოვმა კი, ლაქიობისა და გულისმოგების სურვილით გატაცებულმა, სასწრაფოდ დაითხოვა ქარხნიდან იაკოვლევი, ხალაპსკი, ხოლო მათთან ერთად ქარხნის სპეცნაწილის გამგე ამხ. ციმლოც. განა ეს კონსტიტუციის აღმაშფოთებელი დარღვევა არ არის?

სტალინური კონსტიტუციის და კერძოდ იმ თავის განხორციელება, სადაც ლაპარაკია საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობებზე, ხშირად აწყდება ზოგიერთი დაწესებულებისა და მუშაკის ბიუროკრატიზმს. ბიუროკრატიზმი დიდი ბოროტებაა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიადი პროლეტარული რევოლუციის პირველი დღეებიდანვე აწარმოებდნენ და აწარმოებენ სასტიკ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან და მის კონკრეტულ მატარებლებთან. სოციალიზმის გამარჯვებამ მოსპო ბიუროკრატიზმის ეკონომიური ფესვები. მაგრამ ჯერ კიდევ არის ადამიანთა — სახელმწიფო მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ფენა, რომლებიც შეჩვეული არიან ბიუროკრატიული მეთოდებით მუშაობას. ისინი ცდილობენ ჩვენს დაწესებულებებში შეინარჩუნონ ჩვეულებანი და ტრადიციები, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ბუნებასთან.

სრულიად - საკავშირო საბჭოების საგანგებო VIII ყრილობის დელეგატმა ამხ. ვასილიევმა „პრავდის“ რედაქციას მიმართა წერილით, რომელშიც ლაპარაკობს მშრომელთა საჩივრებისადმი როსლავლის ქალაქის საბჭოს ბიუროკრატიული დამოკიდებულების შესახებ. ბევრი თვეა გრძელდება შესულ საჩივართა „გარჩევა“, ამასთან ბევრი მათგანი იკარგება. „საჩივარს რომ იღებენ, — სწერს ამხ. ვასილიევი, — საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუდრიავცევი ან მდივანი ამხ. შიკოვი სწერენ მასზე მისამართებს: „ქალაქის კომუნალურ მეურნეობას“, „კომუნალურ ტრესტს“, „ქალაქის ფინგანყოფილებას“, „ქალაქის საბინაო-საიჯარო ამხანაგობას“. განცხადებების შემდგომი ბედი მათ აღარ აინტერესებთ. განცხადებათა ბედი მთლიანად გადადის საქმის მწარმოებლის ხელში. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ დაუშვებელია ასეთი ბიუროკრატიული დამოკიდებულება მშრომელთა საჩივრებისა, წინადადებებისა და მოთხოვნებისადმი.

ახალი კონსტიტუცია მუშებს, გლეხებს, ყველა მშრომელთ ხელში აძლევს შესანიშნავ მათრახს ბიუროკრატებისა და უვარგისი მუშაკების წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს ან ზღუდავს საბჭოთა ადამიანების უფლებებს. ეს არის ახალი საარჩევნო სისტემა. მაგრამ ჯერ კიდევ არჩევნებამდე უნდა გაძლიერდეს ბიუროკრატების, საქმის გამჭიანურებლების დევნა და მხილება. დროა შევიგნოთ, რომ ხალხის მტრები, სოციალიზმის მტრები ბიუროკრატიზმს იყენებენ იმისათვის, რათა ხელი შეუშალონ ჩვენს წინსვლას, ხელი შეუშალონ სტალინური კონსტიტუციის განხორციელებას სრული მოცულობით.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო ნაცადი საშუალებაა მშრომელთა ფართოთესი მასების ჩაბმა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ იქ, სადაც საბჭოების გარშემო მრავალრიცხოვანი აქტივია, იქ, სადაც ათასობით და ათიათასობით ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ თავისი საბჭოს მუშაობაში, იქ აღარც ნიადაგი ურჩებათ ბიუროკრატებს.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, რომელიც ჩამოყალიბებული და შემჭიდროებულია ლენინ-სტალინის პარტიის მიერ და რომელსაც ეს პარტია ხელმძღვანელობს, გაანადგურა სოციალიზმის მრავალი მტერი, გადალახა მრავალი სიძნელე თავის ძლევამოსილ გზაზე, ვიდრე ჩვენი სამშობლოს მშრომელთ მოუპოვებდა იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებათა დაცვა თვითეული კომუნისტის წმინდა მოვალეობაა. თვითეული პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში, მის პროპაგანდისტულ, საგიტაციო, ორგანიზაციულ საქმიანობაში სტალინური კონსტიტუციის დამრღვევებთან ბრძოლას საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტი და გავლენა მშრომელთა უფართოეს მასებზე, ნდობა ყოველი პარტიული მუშაკისადმი დამოკიდებული იქნება აგრეთვე იმაზე, თუ როგორ განხორციელდება მთელი თავისი მოცულობით სსრ კავშირის კონსტიტუცია.

**„პრავდის“ მოწინავე, 1/III**

## თავისუფლება გერმანიის პოლიტპატიმრებს

**პარიზი,** 3 მარტი (საქდესი). საფრანგეთის მთელმა რიგმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და ადვოკატებმა გადაწყვიტეს ღია წერილით მიმართონ ჰიტლერს და მოითხოვონ ამნისტია პოლიტიკური პატიმრებისათვის გერმანიაში. წერილში, რომელსაც ხელს აწერენ დეპუტატები ალბერტენი, მონერვილი, ფილიპსერი, აგრეთვე ანრი ტორესი, ალექსანდრე ზევაესი და სხვები, ნათქვამია: „ვფიქრობთ, რომ გამოვხატავთ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს, შეთანხმებულს გერმანიის ხალხის ნამდვილ საზოგადოებრივ აზრთან, როდესაც თქვენგან მოვითხოვთ სისხლისღვრის შეწყვეტას და ამნისტიას თქვენი რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგისათვის, რომლებიც გამომწყვდეულნი არიან თქვენს ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში“.

# პარტიული ორგანიზაციების მომზადება ახალი საარჩევნო სისტემით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სათანადო გარდაქმნა

### საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია ამხ. ჟდანოვის მოხსენების გამო, მიღებული 1937 წლის 27 თებერვალს

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემოღება ნიშნავს მობრუნებას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მობრუნების დედაარსი მდგომარეობს საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის გატარებაში იმ აზრით, რომ იცვლება საბჭოების არა სავსებით თანასწორი არჩევნები თანასწორით, მრავალსაფეხურიანი — პირდაპირით, ღია - ფარულით.

თუ ახალი კონსტიტუციის შემოღებამდე არსებობდნენ საარჩევნო უფლების შეზღუდვანი კულტის მსახურთათვის, ყოფილ თეთრგვარდიელთათვის, იმ ყოფილ ადამიანთა და პირთათვის, რომელნიც საერთო-სასარგებლო შრომას არ ეწევიან, ახალი კონსტიტუცია უკუაგდებს საარჩევნო უფლების ყოველგვარ შეზღუდვას მოქალაქეთა ამ კატეგორიებისათვის, ხდის რა დეპუტატთა არჩევნებს საყოველთაო არჩევნებად.

თუ წინათ დეპუტატთა არჩევნები არა თანასწორი იყო, რადგან არსებობდა არჩევნების სხვადასხვა ნორმა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის, ახლა არჩევნების თანასწორობის შეზღუდვის აუცილებლობა აღარ არსებობს და ყველა მოქალაქეს აქვს უფლება თანასწორ საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

თუ წინათ საბჭოთა ხელისუფლების შუათანა და უმაღლესი ორგანოების არჩევნები მრავალსაფეხურიანი იყო, ახლა, ახალი კონსტიტუციით, ყველა საბჭოს არჩევნებს, დაწყებული სოფლისა და ქალაქის საბჭოებით და გათავებული თვით უზენაესი საბჭოთი, მოქალაქენი მოახდენენ უშუალოდ პირდაპირი არჩევნების გზით. თუ წინათ დეპუტატების არჩევნები საბჭოებში სწარმოებდა ღია კენჭისყრით და სიებით, ახლა კენჭისყრა დეპუტატების არჩევისას იქნება ფარული და არა სიებით, არამედ საარჩევნო ოლქებში წამოყენებულ ცალკეულ კანდიდატურათა მიხედვით.

დასასრულ, კონსტიტუციით შემოღებულია საყოველთაო - სახალხო დაკითხვა (რეფერენდუმი).

ეს ცვლილებანი საარჩევნო სისტემაში მოასწავებენ საბჭოთა ორგანოების მიმართ მასების კონტროლის გაძლიერებას და მასების მიმართ საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

ფარული კენჭისყრისას საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების შემოღების შედეგი იქნება მასების პოლიტიკური აქტივობის შემდგომი გაძლიერება, მშრომელთა ახალი ფენების ჩაბმა სახელმწიფოს მართვაში. ამით პროლეტარიატის დიქტატურა ხდება უფრო მოქნილი და, მაშასადამე, მუშათა კლასის მიერ საზოგადოებას სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის უფრო მძლავრ სისტემად, მუშათა კლასის დიქტატურის ბაზა ფართოვდება, მისი საფუძველი უფრო მტკიცე ხდება.

ამ მობრუნებას რომ სავსებით მომზადებული შევხვდეთ, პარტია სათავეში უნდა ჩაუდგეს ამ მობრუნებას და მთლიანად უზრუნველჰყოს თავისი ხელმძღვანელი როლი ქვეყნის უზენაესი ორგანოების მომავალ არჩევნებში.

მზად არიან თუ არა პარტიული ორგანიზაციები ასეთი ხელმძღვანელობისათვის?

რა არის საჭირო პარტიისაგან იმისათვის, რომ მან შესძლოს სათავეში ჩაუდგეს ამ მობრუნებას, სათავეში ჩაუდგეს ახალ, ბოლომდე დემოკრატიულ არჩევნებს?

ამისათვის საჭიროა, რომ თვითონ პარტია ატარებდეს თანამიმდევრობით დემოკრატიულ პრაქტიკას, რომ იგი ბოლომდე ატარებდეს შინაპარტიულ ცხოვრებაში დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლებს, როგორც ამას მოითხოვს პარტიის წესდება, რომ მას თვითონ ჰქონდეს აუცილებელი პირობები, რომელთა გამო პარტიის ყველა ორგანო იქნებოდა არჩევითი, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა სავსებით ვითარდებოდეს, რომ პარტიული ორგანოების პასუხისმგებლობა პარტიული მასის წინაშე იყოს სრული და რომ თვითონ პარტიული მასა იყოს სავსებით აქტივიზებული.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია უკვე მზად არის შეასრულოს ეს პირობები, რომ ისინი უკვე სავსებით გარდაიქმნენ დემოკრატიულ წესზე?

სამწუხაროდ, არ შეიძლება ამის სრული რწმენით თქმა.

ამას მოწმობს პარტიის წესდების და შინაპარტიული დემოკრატიზმის საფუძვლების დარღვევის პრაქტიკა, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ ორგანიზაციაში.

როგორია ეს დარღვევანი?

პარტიული ორგანოების არჩევითობა, დაწესებული პარტიის წესდებით, მთელ რიგ ორგანიზაციებში დარღვეულია. პარტორგანოების არჩევის ვადებს, რომლებიც დაწესებულია პარტიის წესდებით, პარტორგანიზაციები არ იცავენ. ფართოდ გავრცელდა სარაიონო, საქალაქო, სამხარეო და საოლქო კომიტეტთა, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტთა პლენუმების წევრებად სხვადასხვა ხელმძღვანელ მუშაკთა კოოპტაციით შეყვანის ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა.

ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ პარტკომიტეტების მდივნების დამტკიცების წესი, დაწესებული პარტიის წესდებით, მთელ რიგ პარტორგანიზაციებში ფაქტიურად გადაქცეულია დანიშვნად. პარტკომების მდივნების დამტკიცება არაიშვიათად ხდება მანამდე, ვიდრე მათ ადგილობრივ პარტორგანიზაციებში აირჩევდნენ, ეს კი პრაქტიკაში იწვევს იმას, რომ ადგილობრივ პარტორგანიზაციებს არა აქვთ შესაძლებლობა განიხილონ რეკომენდებული მუშაკის კანდიდატურა.

არჩევით თანამდებობებზე დამტკიცება და სამუშაოდან მოხსნა ხშირად ხდება პარტორგანოების დაკითხვითი გადაწყვეტილებების წესით და პარტიული კომიტეტის პლენუმისათვის ახალი მუშაკების რეკომენდაციის გაუწევლად, აგრეთვე პარტორგანიზაციებისათვის ამათუიმ პარტიული ხელმძღვანელის მოხსნის მოტივების განუმარტავად.

რაც შეეხება პარტორგანოების არჩევნებს, ჯერ კიდევ არსებობს პრაქტიკა, რომლის ძალით კანდიდატების სიების განხილვა ხდება მხოლოდ წინასწარ თათბირებზე, უხუცესთა საბჭოებში, დელეგაციების კრებებზე, ამასთან, როგორც წესი, კამათი კანდიდატურების ირგვლივ თვით პლენუმებსა და კონფერენციებზე არ იხსნება, კენჭისყრა ხდება სიით და არა პერსონალურად, და, ამრიგად, საარჩევნო პროცედურა უბრალო ფორმალობად იქცევა.

დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლების დარღვევის ყველა ეს ფაქტი ზიანს აყენებს პარტიას, რადგან ისინი აფერხებენ პარტიის წევრთა აქტივობის ზრდას, აქტივს, რომელსაც განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, უსპობენ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს ხელმძღვანელ მუშაობაში, უსპობენ პარტიის წევრებს მათს კანონიერ უფლებას — კონტროლი გაუწიონ პარტორგანოების საქმიანობას და ამით არღვევენ სწორ ურთიერთდამოკიდებულებას ხელმძღვანელებსა და პარტიულ მასებს შორის.

ასეთი პრაქტიკის მკვეთრ მაგალითებს წარმოადგენენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ბოლო დროს გამომჟღავნებული ფაქტები პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის აშკარა მივიწყებისა აზოვ-შავიზღვის სამხარეო კომიტეტში, კიევის ოლქკომსა და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და სხვა პარტორგანიზაციებში, რაც გამოიხატება პარტიის წესდებისა და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების უხეშ დარღვევებში იმ მხრივ, რომ შორდებიან პარტორგანოების არჩევითობას და შემოაქვთ კოოპტაციის შეურწყნარებელი პრაქტიკა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზს უსვამს, რომ არასწორი ხელმძღვანელობის მაგალითები, გამოაშკარავებული კიევის ოლქკომში და აზოვ-შავიზღვის მხარეში, ერთეულ შემთხვევებს კი არ შეადგენენ, არამედ მეტნაკლებობით ახასიათებენ ყველა სამხარეო და საოლქო პარტორგანიზაციას.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სთვლის, რომ ამ და მათ მსგავს ნაკლთა ლიკვიდაცია წარმოადგენს იმ აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ვერ შესრულდება პარტიის ახალი ამოცანები, წამოჭრილნი დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მობრუნების ფაქტთან, ახალი კონსტიტუციის მიღებასთან და საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ჩვენი ქვეყნის უზენაესი ორგანოების მომავალ არჩევნებთან.

ამიტომ, აუცილებელია პარტიული მუშაობის გარდაქმნა პარტიის წესდებით ნაკარნახევი შინაპარტიული დემოკრატიზმის საწყისების ცხოვრებაში უთუო და სრული გატარების საფუძველზე.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აუცილებელ საჭიროებად თვლის განხორციელდეს და ავალებს ყველა პარტორგანიზაციას გაატარონ ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი:

1. ლიკვიდირებულ იქნას პარტკომიტეტების წევრებად შეყვანის კოოპტაციის პრაქტიკა და აღდგენილ იქნას პარტიის წესდების შესაბამისად, პარტორგანიზაციათა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობა.
2. აიკრძალოს პარტორგანოების არჩევნებისას კენჭისყრა სიით. კენჭისყრა მოხდეს ცალკე კანდიდატურების მიხედვით, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას პარტიის ყველა წევრისათვის კანდიდატების აცილებისა და უკანასკნელთა კრიტიკის შეუზღუდავი უფლება.
3. დაწესდეს პარტორგანოების არჩევნებისას კანდიდატების დახურული (ფარული) კენჭისყრა.
4. ჩატარდეს პარტორგანოების არჩევნები ყველა პარტორგანიზაციაში, დაწყებული პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომიტეტებით და გათავებული სამხარეო, საოლქო კომიტეტებითა და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტებით, ამასთან არჩევნები დამთავრდეს არა უგვიანეს 20 მაისისა.
5. დაევალოს ყველა პარტორგანიზაციას სასტიკად დაიცვან პარტიის წესდების შესაბამისად პარტორგანოების არჩევნების ვადები: პირველად პარტორგანიზაციებში — ერთხელ წელიწადში, რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებში—ერთხელ წელიწადში, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებში — ერთხელ 1 ნახევარ წლის განმავლობაში.
6. უზრუნველყოფილ იქნას პირველად პარტორგანიზაციებში პარტკომების საერთო-საქარხნო კრებებზე არჩევნების წესის სასტიკად დაცვა და არ იქნას დაშვებული ამ კრებების შეცვლა კონფერენციებით.
7. ლიკვიდირებულ იქნას მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში არსებული პრაქტიკა საერთო კრებების მოწვევის ფაქტიური გაუქმებისა და საერთო კრების შეცვლისა სამქრო კრებებითა და კონფერენციებით.

# მდგომარეობა ესპანეთში

## რესპუბლიკელებმა გადალახეს მდინარე ტახო ტალავერასა და ტოლედოს შუა

**პარიზი,** 4 მარტი (საქდესი). ჰავასი მადრიდიდან იუწყება, რომ 13 საათს გაგრძელებული ოპერაციის შედეგად, რესპუბლიკელები გადავიდნენ მდინარე ტახოს ტალავერასა და ტოლედოს შუა.

ბადახოსის დაცემის შემდეგ სახალხო მილიციის რაზმებმა, რომელთაც ეკავათ ეს რაიონი და კერძოდ გვადალუპე და ალის ბორცვი შარშან ოქტომბერში, უკან დაიხიეს მეამბოხეთა შეტევის გამო, გადავიდნენ სიერა დე გვადალუპეს და თავი მოიყარეს რობლედო დელ ბუეიში (სოფელია მდინარე ტახოდან 35 კილომეტრზე). გარდა ამისა, ორი სხვა კოლონა, რომლებიც ოკანიდან (ტოლედოს აღმოსავლეთით) გამოვიდნენ, გაემართნენ დასავლეთისაკენ — პირველი სან ბარტოლომეს დე ლას აბიერტასის (ტახოდან სამხრეთით 15 კილომეტრის მანძილზე) მიმართულებით, მეორე ელ პუენტე დელ არსებისპესკენ ტახოს ნაპირზე და აქ გამაგრდნენ. რესპუბლიკელთა ჯარების ამ სამმა თავმოსაყრელმა პუნქტმა მდინარე ტახოს სამხრეთით შექმნა დიდი სამკუთხედი, რომლის ერთი გვერდი თითქმის მდინარე ტახოს პარალელურად გადიოდა. უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში რესპუბლიკელთა ძალები სან ბარტოლომე დე ლას აბიერტასის მიდამოებში იყრიდნენ თავს; აქ მათი რიცხვი 30 ათას კაცს უდრიდა.

28 თებერვლისათვის მთავრობის ჯარები მზად იყვნენ დაეწყოთ ოპერაციები მალპიკის დასაკავებლად (მდინარე ტახოს ნაპირას სან ბარტოლომე დე ლას აბიერტასიდან 15 კილომეტრის მანძილზეა). ოპერაციები დაიწყო 1 მარტს ენელვას და მალპიკის რაიონებში. რესპუბლიკელთა ჯარები იბრძოდნენ 12 საათის განმავლობაში და ცდილობდნენ მდინარის გადასვლას. მათს მოქმედებას ხელს უწყობდნენ არტილერია და ავიაცია. შემდეგ რესპუბლიკელებმა დაიკავეს ხიდი. უკვე დაღამებული იყო, როდესაც რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს სოფელი მესეკარე სამი კილომეტრის მანძილზე მდინარე ტახოს ჩრდილოეთით. ღამე განსაკუთრებით დაძაბული იყო; მეამბოხეებმა, რომელთაც მეტად მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ, არა ერთხელ სცადეს იერიშის მიტანა რესპუბლიკელებზე. მაგრამ უკანასკნელნი, იგერიებდნენ რა მოწინააღმდეგის თვითეულ იერიშს, მტკიცედ დაბინავდნენ მათ მიერ დაკავებულ სოფელში და გაამაგრეს თავიანთი პოზიციები მდინარე ტახოზე. ამ შეტევას, რომელიც სწრაფი ტემპებით გაიშალა, ასეთი შედეგი მოჰყვა: ჯერ-ერთი, საფრთხის გაძლიერება ტალავერა-მადრიდის რკინიგზის წინააღმდეგ, მეორე — იმ გზის წინააღმდეგ, რომლის შტოც ტოლედოსკენ მიდის.

### ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის ექსპერტთა სხდომა

**ლონდონი,** 4 მარტი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, შესდგა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის ექსპერტთა სხდომა. გადაწყდა—წინადადება მისცენ კონტროლის სქემის გაფართოებას იმ მიზნით, რომ იგი გავრცელდეს ამერიკის ნავსადგურებიდან ან სხვა არაევროპულ ნავსადგურებიდან ესპანეთში გასაგზავნ იმ გემებზე, რომლებიც ეკუთვნიან ჩაურევლობის შეთანხმებაში არამონაწილე სახელმწიფოებს. გადაწყდა აგრეთვე წინადადება მისცენ კომიტეტს კონტროლის სქემა გაავრცელოს კანარის კუნძულებზე.

### ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობაზე კონტროლის შემოღებას გადადებას უპირებენ

**ლონდონი,** 4 მარტი (საქდესი). რეიტერი იუწყება: „ინგლისის წრეებში ამჟამად დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კონტროლის სქემა არ შევა ძალაში 6 მარტიდან, როგორც ეს თავდაპირველად იყო გადაწყვეტილი. ვადის გადადება არ არის გამოწვეული საქმის გაჭიანურების ტაქტიკით რომელიმე სახელმწიფოს მხრით; იგი მხოლოდ იმით აიხსნება, რომ კონტროლიორები იმ დროისათვის ტექნიკური მიზეზების გამო ვერ შესძლებენ დანიშნულების ადგილას ჩასვლას. მოელიან, რომ ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტი თავის ხვალინდელ სხდომაზე — სხვა თარიღს დანიშნავს კონტროლის სქემის მოქმედებაში შესასვლელად; შესაძლებელია, ეს სქემა მოქმედებაში შევიდეს ორი კვირით უფრო მოგვიანებით“.

### მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა

**პარიზი,** 4 მარტი (საქდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობას, რომელიც დღეს შუადღისას გამოქვეყნდა. ცნობაში ნათქვამია, რომ ელ პარდოს რაიონში ოპერაციების შედეგად, რესპუბლიკელებმა შესძლეს თავიანთი პოზიციების გაუმჯობესება.

საუნივერსიტეტო უბანში რესპუბლიკელთა მიერ ჩაწყობილი მთელი რიგი ნაღმების აფეთქებით მეამბოხეებს სერიოზული ზარალი მოუვიდათ. მდინარე ხარამის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

### გერმანია კვლავ უგზავნის მეამბოხეებს ჯარს და იარაღს

**ვენა,** 4 მარტი (საქდესი). შვეიცარიის გაზეთი „ბერნერ ტაგვახტი“ ბერლინიდან იუწყება, რომ გერმანიის მთავრობა კვლავ ჰგზავნის ჯარს ესპანელ მეამბოხეების დასახმარებლად. გაზეთის ცნობით, შტეტინის ნავსადგურში მზად არის გასაგზავნად კავშირგაბმულობის ასეული, ქვეითი ჯარის ორი ასეული და კიუსტრინის ეგერთა პოლკის ერთი ათასეული. ჰამბურგის ნავსადგურში მზად არის გემებით გასამგზავრებლად მერზებურგის საავიაციო პოლკის რაზმი, ტანკისტების პოლკის ათასეული და მესანგრეთა ასეული ქალაქ მინდენიდან (ვესტფალია).

**ლონდონი,** 4 მარტი (საქდესი). გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ დიპლომატიური კორესპონდენტი აცხადებს, რომ თებერვლის დამლევს გერმანიიდან ესპანეთს გაიგზავნა 20 ტანკი. ტანკებთან ერთად გერმანიიდან გაიგზავნენ ტანკისტები.

◇

### „მანჩესტერ გარდიანის“ პროტესტი

**ლონდონი,** 3 მარტი (საქდესი). გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ მოწინავეში პროტესტს აცხადებს ერნსტ ტელმანის პატიმრობის წინააღმდეგ. გაზეთი აცხადებს: გერმანიის ფაშისტები სცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ შეუძლიათ ტელმანი ციხეში ამყოფონ მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში და ამით ზიანი არ მიაყენონ გერმანიის რეპუტაციას. ტელმანის ოთხი წლის პატიმრობის შემდეგ, ხაზს უსვამს გაზეთი, იგი არ დავიწყებიათ და არც არასოდეს დაივიწყებენ, ვიდრე მსოფლიოში ცივილიზებულთა სინიდისი არსებობს.

# საბჭოთა კავშირში

## არქტიკული გადაფრენები

### ამხ. ფარიხის გადაფრენა

**მოსკოვი,** 3 მარტი (საქდესი). ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში მიღებული ცნობებით, მფრინავი ფარიხი, რომელიც ახდენს დიდ გადაფრენას მარშრუტით მოსკოვ—უელენ—მოსკოვი, 4 მარტს 4 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით იაკუტსკიდან გაფრინდა ზემო-კოლიმსკისაკენ.

6 საათსა და 30 წუთზე ფარიხის თვითმფრინავი გადაფრინდა კრესტ-ხოლდჟაიზე (ალდანთან).

გუშინვე იაკუტსკიდან „ნ.—159“ თვითმფრინავით ჩრდილოეთისაკენ გაფრინდა ცნობილი პოლარული მფრინავი ჩერევიჩნი, რომელიც ირკუტსკიდან მიიმართება ლაპტევების ზღვისა და აღმოსავლეთ-ციმბირის ზღვის სანაპიროსაკენ. ჩერევიჩნის მიაქვს წერილები და ამანათები შორეულ პოლარულ სადგურთა მეზამთრეებისათვის.

4 მარტს ბულუნში ჩავიდა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს ლენის ავიაჯგუფის მფრინავი გალიშევი. გალიშევი ფიქრობს 5 მარტს ჩავიდეს ტიქსის ბუხტაში, საიდანაც მან უნდა წამოიყვანოს ავადმყოფი მეზამთრენი.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს ობის ავიახაზის მფრინავი ამხ. ანტიუშოვი ახალი ნავსადგურიდან (ობის უბე), გუშინ ჩავიდა ხალ-მერ-სედში (ტაზის უბე). იგი კიუმერიდან მიჰფრინავს კუნძულ ბელიზე, — (კარსკის ზღვა) და სხვა ადგილებში, სადაც მეზამთრენი არიან.

ყველა არქტიკული გადაფრენა საგრძნობლად გართულებულია უხვი თოვლიანობისა და ნისლის გამო.

### გაფრენა რუდოლფის კუნძულზე

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარმა სამმართველომ გადასწყვიტა ჩაატაროს წელს მთელი რიგი გადაფრენები იმ მიზნით, რომ კავშირი დაამყაროს უამრავ პოლარულ სადგურებთან, რომლებიც ყინულოვან ოკეანეს კუნძულებსა და სანაპიროებზე არიან გაფანტულნი. მე წინადადება მივიღე მოსკოვიდან გადავფრინდე რუდოლფის კუნძულზე, სადაც შარშან აგებულ იქნა მსოფლიოში ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე სადგური.

ამჟამად მთავრდება თვითმფრინავის მოწყობა ამ რეისისათვის და უახლოეს დღეებში გავფრინდებით მოსკოვიდან, ავიღებთ რა კურსს ჩრდილოეთისაკენ.

მოსკოვიდან ჩვენ გავფრინდებით არხანგელსკში, ხოლო იქიდან ნარიან-მარში. შემდეგ ჩავალთ ამდერმაში და დავეშვებით სურვილის კონცხზე (ახალი მიწის ჩრდილოეთი ნაწილი). შემდეგ გადავუვლით ბარენცის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილს და დავეშვებით ტიხაიას ბუხტაში ფრანც-იოსების მიწის არქიპელაგის სამხრეთით. ბოლოს, თვითმფრინავი შევა გადაფრენის უკანასკნელ ეტაპში და, გადაუვლის რა მთელ არქიპელაგს, დაამთავრებს თავის ძნელ საზამთრო რეისს რუდოლფის კუნძულზე. შორეულ გადაფრენაში ჩვენ მივემგზავრებით პროფესორ ა. ნ. ტუპოლევის კონსტრუქციის ორმოტორიანი თვითმფრინავით „ანტ-7“. თვითმფრინავზე დადგმულია საბჭოთა მოტორები „მ-17“. გაითვალისწინა რა გადაფრენის სიძნელეები, საავიაციო ქარხანამ მოგვცა სპეციალურად ანაწყობი ძრავები, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი განსაკუთრებული ხელსაწყოები არქტიკაში მუშაობის გასაადვილებლად.

ეკიპაჟის შემადგენლობის შერჩევა დიდი ყურადღებით სწარმოებდა. შტურმანად მიფრინავს ამხ. ვოლკოვი, რომელსაც უაღრესად არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ნავიგაციის დიდი პრაქტიკა აქვს. ბორტმექანიკოსებად მიემგზავრებიან გამოცდილი ტექნიკოსები ამხ. კეკუშევი და ტერენტიევი. ამხ. კეკუშევთან ერთად მე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ვფრინავდი არქტიკაში.

ჩემის აზრით, მოსკოვიდან რუდოლფის კუნძულამდე გადაფრენას დასჭირდება არა უმეტეს ორი კვირისა. ჰაერში კი ჩვენ დავრჩებით დაახლოვებით 25 საფრენოსნო საათს.

მფრინავი **ნ. ვ. გოლოვინი.**

(„პრავდის“ სტატიიდან)

7 მარტს, საღამოს 6 საათზე, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შესდგება

**თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს**

**მ ო რ ი გ ი  პ ლ ე ნ უ მ ი.**

**დღის წესრიგი:** საქალაქო მეურნეობის დარგში თბილისის საბჭოს კაპიტალურ სამუშაოთა 1937 წლ. გეგმის განხილვა და დამტკიცება (მომხს. ამხ. ნიორაძე).

1520 2-2

**თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.**

### პარტიულ თემაზე

## პარტიული პროპაგანდის კარგი ხელმძღვანელობის შედეგად

პარტიულ ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ადგია საკმაოდ განმტკიცებულ აზრს, თითქოს პარტიულ წრეებსა და სკოლებში მეცადინეობის მეთოდის საკითხის გადაჭრა შეეძლოთ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ რომელიღაც მეთოდისტებს. ამის შედეგად წრეებსა და სკოლებში. იჭრება მეცადინეობის არასწორი, არაბოლშევიკური ფორმები. პროპაგანდის ასეთი არაბოლშევიკური ფორმა იყო საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიერ თავის დროზე დაგმობილი ეგრეთწოდებული „პოლიტბრძოლა“, „პოლიტანკესი“ და სხვა.

განმტკიცებული შაბლონის თანახმად, წრეში მეცადინეობა ჩვეულებრივ შემდეგნაირად მიმდინარეობს.

იგი იწყება პროპაგანდისტის „შესავალი“ სიტყვით. პროპაგანდისტი მოაგონებს მსმენელებს, თუ რა თემა იყო წინა მეცადინეობაზე, ჩამოსთვლის ახალი თემის კითხვებს, ხოლო უკეთეს შემთხვევაში აძლევს სახელმძღვანელოს სათანადო თავის კონსპექტურ დალაგებას. შემდეგ პროპაგანდისტი გადადის კითხვებზე და აძლევს მათ ზედიზედ, განუწყვეტლად, მთელი მეცადინეობის მანძილზე. მსმენელები სდუმან, და წრის ხელმძღვანელი უპასუხებს მათ, მაგიერ ხშირად ერთმარცვლოვანი „ჰო“ ან „არათი“.

პარტიული სკოლების მუშაობის ასეთ მეთოდს ვხვდებით იქ, სადაც პარტიულ წრეების მუშაობაში პარტიული კომიტეტი კონკრეტულად და ოპერატიულად არ ხელმძღვანელობს პარტიული განათლების საქმეს.

სულ სხვაგვარად არის პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობის საქმე 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში (ქ. თბილისი). უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აქ პარტკომის მდივანი ამხ. კოჭლაძე თვითონვეა პროპაგანდისტი. ეს დამახასიათებელია იმიტომ, რომ ჩვენში პარტკომის ყველა მდივანი ჯერ კიდევ არ არის პროპაგანდისტი. პარტიული კომიტეტის მიერ პარტიული განათლების სკოლების უშუალო ხელმძღვანელობა ხორციელდება, ჯერ ერთი, პარტკომის წევრთა საშუალებით წრეების მუშაობის პროცესში და, მეორე, წრეების თვითეული მეცადინეობის შემდეგ — იმავე დღეს ჩატარებული მეცადინეობის შედეგები ჯამდება პარტკომის სხდომაზე, რომელზეც იწვევენ ყველა პროპაგანდისტს და წრეების მამასახლისებს, რაც საშუალებას იძლევა მაშინვე მიღებულ იქნას საჭირო ზომები მოცემული მეცადინეობის პროცესში პროპაგანდისტებისა ან მსმენელების მიერ დაშვებული ცალკე შეცდომების გამოსასწორებლად.

ამიტომ პარტიული წრეების ან წრის ცალკე წევრების მუშაობის შესახებ პარტიული კომიტეტის ან პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებებში ხშირად ვხვდებით ფორმულირებებს, რომ „პარტგანათლების დღის შედეგების შეჯამებისას მოცემულ წრეში გამომჟღავნებულ იქნა მთელი რიგი დეფექტები“, აქვე ჩამოთვლილია დეფექტები და მიღებულია მთელი რიგი პარტიული ზომები მათი აღმოფხვრისათვის და სხვ.

პარტიული კომიტეტის მიერ საქარხნო პარტკაბინეტთან მოწყობილია ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია. პარტიული სკოლების მეცადინეობის ერთი დღიდან მეორემდე ეწყობა თეორიული ლექციები პარტიის ისტორიის ცალკე საკითხებზე, მოხსენებები სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის საკითხებზე და სხვ.

პარტიული დოკუმენტების გამოცვლისას ლენინის რაიკომმა მანქანათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციიდან დაწინაურების რეზერვში ჩარიცხა პარტიის 17 წევრი, რომლებიც ახლა რაიკომთან არსებულ პარტჯგუფორგების კურსებზე სწავლობენ.

1936 წლის განმავლობაში პარტორგანიზაციამ მოამზადა თავისი საკუთარი პროპაგანდისტები. პარტიული ორგანიზაციის მიერ გამოზრდილ ასეთ პროპაგანდისტებს წარმოადგენენ: ამხ. სარქისოვი — პარტიის წევრი 1924 წლიდან, ძველი მუშა, დაწინაურებული, რომელიც ახლა სახარატო საამქროს უფროსია; კილკინოვი — პარტიის წევრი 1930 წლიდან, ქარხნის ყოფილი მუშა, ამჟამად ტექნიკოსი; დანელიანი — პარტიის წევრი 1932 წლიდან, დაწინაურებული, ამჟამად საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე; ოგანეზოვი — პარტიის კანდიდატი, რომელიც ხელმძღვანელობს პარტიის ისტორიის შემსწავლელ კომკავშირულ წრეს.

ყველა ამ ამხანაგებს არავითარი სპეციალური კურსები არ დაუმთავრებიათ, ისინი გაიზარდნენ პარტიული განათლების წრეებში და ამჟამად არც თუ ცუდი პროპაგანდისტები არიან.

გაიზარდნენ ცალკე კომუნისტები, რომლებსაც წინათ სუსტებად სთვლიდნენ, ხოლო ზოგჯერ „ჩამორჩენილებს“ ეძახდნენ. ასეთებია: ამხ. შალვა წამალაშვილი — პარტიის წევრი 1932 წლიდან, ყოველწლობით გადადიოდა ერთი ტიპის პარტსკოლიდან მეორეში, ამჟამად ითვლება დაწინაურების რეზერვში და რაიკომში მეცადინეობს; ამხ. ლავრენტი წკრიალაშვილი — პარტიის წევრი 1932 წლიდან, ყოფილი შავი მუშა, გაიარა ყველა ტიპის პარტწრეები, მეცადინეობდა რაიკომთან არსებულ დაწინაურების რეზერვის ჯგუფში, ამჟამად ჩარიცხულია სტუდენტად საქართველოს სტალინის სახელობის უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში: ამხ. ანტონ ხრამოვი — ამჟამად სწავლობს რაიკომთან არსებულ დაწინაურების რეზერვის ჯგუფში.

პარტორგანიზაციამ 17 ასეთი ამხანაგი გამოზარდა.

პარტორგანიზაციის შემადგენლობის იდეური დონის ამაღლების საქმეში პარტიული ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიებანი დადებითად მოქმედებენ პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობის შევსებაზეც. მაგალითად, უკანასკნელ დროს პარტიის წევრებად გადარიცხვის შესახებ განცხადებები შეიტანეს პარტიის კანდიდატებმა ამხ. კობახიძემ, ოგანეზოვმა და კუზანოვმა.

თანამგრძნობებმა ამხ. მანუსანჯიანმა, მელაძემ და იაშვილმა შეიტანეს განცხადებები პარტიის კანდიდატებად მიღების შესახებ.

ასეთია 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის სახე პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში.

ასეთია არასავსებით სრული შედეგები პარტიული კომიტეტის მიერ ერთერთი ძირითადი უბნის — პარტიული პროპაგანდის საქმის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა.

**ბოლდირევი.**

## დონბასის მაღაროელთა და მეტალურგთა მომართვის საპასუხოდ

### ჩვენი პასუხი

**ტყიბული,** 5 მარტი (საქინფ.). ტყიბულქვანახშირის მაღაროელები მხურვალედ გამოეხმაურნენ დონბასის მოწინავეთა მიმართვას.

ტყიბულელები ერთხმად აცხადებენ, რომ ისე იმუშავებენ, როგორც საყვარელი, დაუვიწყარი სერგო ორჯონიკიძე ასწავლიდა.

საუკეთესო სტახანოველმა ლენინის სახ. შახტის მუშა მნგრეველმა ამხ. ლ. ცქიფურიშვილმა სთქვა:

— ტყიბულის მაღაროელების წინაშე სერიოზული ამოცანები დგას, წელს ჩვენ უნდა მივცეთ ქვეყანას 350 ათასი ტონა ქვანახშირი. ეს მოითხოვს ნამდვილ სტახანოვურ მუშაობას, ტექნიკის სრულ დაუფლებას. მე ვკისრულობ ვალდებულებას შევასრულო ნორმა 200 პროცენტით და ვიწვევ შეჯიბრებაში მნგრეველ ვერეშჩაგინს.

ტექნიკოსი კომკავშირელი — ამხ. ნ. ცერცვაძე, რომელიც სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, ამბობს:

„ჩემი ცვლა დგება სერგო ორჯონიკიძის სახელობის ვახტზე და კისრულობს ვალდებულებას 150 პროცენტით შეასრულოს ნორმა. ვებმები რა შეჯიბრებაში, ვალდებულებას ვკისრულობ მოვამზადო მნგრეველები, გამგორებლები, გავამრავლო სტახანოველთა რიგები, ვიმუშაო ისე, რომ ქვეყანას მივცე მაღალხარისხოვანი ქვანახშირი“.

ტყიბულქვანახშირის საუკეთესო გამგორებელმა სტახანოველმა ამხ. ჯიშიაშვილმა სთქვა:

— მე ვასრულებ ახალ ტექნიკურ ნორმებს 200 პროცენტით. გავეცანი რა დონბასელთა მიმართვას, სიტყვას ვიძლევი, რომ 300 პროცენტით შევასრულებ ნორმებს.

ამხ. ჯიშიაშვილის ვალდებულებას შეუერთდნენ სტახანოველი გამგორებლები — ამხ. იუციშვილი და ლაბჩავა. გამმაგრებელი ამხ. გვანელაძე, რომელსაც მუშაობის 24 წლის სტაჟი აქვს, სიტყვას იძლევა იმუშაოს კიდევ უფრო ენერგიულად და თავისი მუშაობის გამოცდილება გადასცეს ახალგაზრდა მუშებს.

ტყიბულელები სიტყვას აძლევენ პარტიას, მთავრობას და დიდ სტალინს იმუშაონ სტახანოვურად, მიაღწიონ ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებას და შეასრულონ წლიური საწარმოო დავალება დიდი ოქტომბრის მე-20 წლისთავისათვის.

### მეფოლადეთა ვალდებულებანი

დონბასელ მეტალურგთა მოწოდებას ავჭალის ფოლადისა და თუჯის ჩამომსხმელი ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები აღფრთოვანებული შეხვდნენ. იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ამხ. სერგოს მიერ მეტალურგიული ქარხნების წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას.

მოწოდებამ ქარხანაში შრომის ახალი ცეცხლი დაანთო, გაიმართა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მიტინგი, რომელზედაც სტახანოველებმა იკისრეს ახალ-ახალი ვალდებულებანი. შრომის ნაყოფიერების 25 პროცენტით გადიდება იკისრეს სტახანოველებმა ს. ხადერმა, ს. მაისაძემ, სამაგლიშვილმა, ვ. დემეტრაშვილმა და სხვ.

ქარხანა მეორე სტახანოვურ წელს მომზადებული შეხვდა და გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. იანვრის გეგმა 125 პროცენტითაა შესრულებული, ხოლო ორჯონიკიძისეული ლაშქრობის დაწყების შემდეგ გეგმის შესრულებამ 134 პროცენტს მიაღწია.

ქარხნის სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკოსები სიტყვას იძლევიან, რომ ორჯონიკიძისეულ ლაშქრობაში ბოლშევიკური მუშაობით მეორე სტახანოვური წლის გეგმას გადაჭარბებით შეასრულებენ.

### ცელინსკის რაიონის კოლმეურნეთა წერილი

**დონის როსტოვი,** 3 მარტი (საქინფ.). დონბასის სტახანოველთა მიმართვას მხურვალედ გამოეხმაურნენ აზოვ-შავი ზღვის კოლმეურნე კაზაკები. ცელინსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველებმა დღეს აზოვ-შავი ზღვის ყველა კოლმეურნეობას მიმართეს ღია წერილით, რომელშიაც სწერენ:

— დონბასის სტახანოველთა მოწოდება—ყველა დადგეს სერგო ორჯონიკიძის ხსოვნის სტახანოვურ ვახტზე—გახმაურდა მთელს ჩვენს ქვეყანაში. ქვანახშირისა და მეტალურგიული დონბასის მოწინავე ადამიანებმა დაიწყეს სახელოვანი საქმე, საყვარელი სერგოს ნათელი ხსოვნის ღირსეული საქმე.

წერილში მოყვანილია ზუსტი ვალდებულებანი, რომლებსაც საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველები კისრულობენ.

ამხანაგების სისოევასა და გონჩაროვას მემინდვრეობის ბრიგადებისა და ამხ. ოლეინიკოვის სატრაქტორო რაზმის სტახანოველნი კისრულობენ ერთ ჰექტარზე საშუალოდ აიღონ 100 ფუთი მოსავალი. ტრაქტორისტები პირობას იძლევიან რომ „ჩტზ-ზე“ დაამუშავებენ 5.000 ჰექტარს, ხოლო „სტზ-ზე“ 2.500 ჰექტარს.

ცალკეული კოლმეურნენი კისრულობენ საგაზაფხულო თესვის განმავლობაში სტახანოველთა რიგებში ჩააყენონ თავიანთი ამხანაგები.

— ყოველივე ეს,—ამთავრებენ თავიანთ წერილს ბუდიონოველი კოლმეურნენი,—ჩვენ საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ ახალ წარმატებებს, სოცშეჯიბრებაში გავიმარჯვოთ დნეპროპეტროვსკელებთან და საპატიო ადგილი მოვიპოვოთ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ჩვენ მივმართავთ აზოვ-შავი ზღვის მხარის კოლმეურნეობათა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა ყველა სტახანოველს მოწოდებით დაიწყონ ლაშქრობა სტახანოვური მოსავლისათვის, გამოზარდონ სტახანოველთა ახალი ათასები, დაეხმარონ მათ თავიანთი გამოცდილებით, რჩევა-დარიგებითა და საქმით. ბოლშევიკი დევგმირის საუკეთესო ძეგლი—ახალი სტახანოვური შევსებაა.

### მსუბუქი მრეწველობის სტახანოველები ებმებიან ორჯონიკიძისეულ ლაშქრობაში

**მოსკოვი,** 3 მარტი (საქინფ.). დონბასის საუკეთესო ადამიანთა მიმართვამ შესძრა მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მუშათა მასები. მათთვის, როგორც ქვანახშირის მუშაკების ისე მეტალურგებისთვისაც დაუვიწყარია ძვირფასი სერგო ორჯონიკიძის ხსოვნა.

უპასუხებენ რა დონბასელთა მოწოდებას, მსუბუქი მრეწველობის სტახანოველნი და დამკვრელნი დგებიან სერგოს ხსოვნის ვახტზე, კისრულობენ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარიჟსკაია კომუნაში“ (მოსკოვი) ფაბრიკის საწარმოო და პარტიული აქტივის კრებაზე გადაწყდა 6 მარტს მოაწყონ სერგოს ხსოვნის სტახანოვური ვახტი და ამ დღეს მიაღწიონ ფეხსაცმლის სარეკორდო გამოშვებას—32 ათას წყვილს.

ორთაჭალის ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეხილეთა ბრიგადირი გიორგი [illegible] სათბურში [illegible]

ფოტო [illegible] (საქინფორმის საქ. განყოფილება)

## ვაზის ოსტატთა შეკრებაზე

(თელავი, „კომუნისტის სპეციალური კორესპონდენტისაგან).

თებერვლის უკანასკნელმა დღემ ახალი თოვლი მოიტანა. ცივ-გომბორისა და თუშეთის მთები, ალაზნის ჭალები და ქისტაურის უტეხი ყამირი ზამთრის თეთრმა საბანმა დაჰბურა. მაგრამ თოვლმა და სუსხიანმა სიცივემ ვერ შეაფერხა ხალხის დენა.

თბილ ქურქებსა და ნაბდებში გახვეული, ისინი მოვიდნენ მატარებლითა და ავტობუსებით, იორღა ცხენებითა და ეტლებით. მოვიდნენ და თან მოიტანეს სტალინური კონსტიტუციით გამთბარი და მხიარული სახეები, ბრწყინვალე გამარჯვებათა ციფრები და მდიდარი გამოცდილება, რათა შეეჯამებინათ გასული წლის მუშაობის შედეგები მევენახეობაში, შეემოწმებინათ მზადყოფნა მომავალი გაზაფხულისათვის და დაესახათ პრაქტიკული ღონისძიებანი ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

სამასზე მეტი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბრიგადირი და მყნობელი დაესწრო ამ დღეს მევენახე სტახანოველთა სარაიონო შეკრებას.

— თელავის რაიონმა—ლაპარაკობს პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. კარსანიძე — ახალი ვენახების გაშენებისა და ნამყენთა გახარების მხრივ მთელს რესპუბლიკაში შარშან პირველი ადგილი დაიკავა.

— ჩვენ — განაგრძობს ამხ. კარსანიძე, შარშან 390 ჰექტარი ახალი ვენახი გავაშენეთ, ანუ იმის ნახევარი, რაც მთელ დანარჩენ საქართველოში. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა მყნობელებმა მიაღწიეს ნამყენთა 80-86 პროცენტით და კიდევ მეტით გახარებას. მაგრამ ამ წარმატებებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს თვითდამშვიდება. ახალი ამოცანების სერიოზულობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ წელს ვენახების გაფართოვებასთან და ნამყენის მეტი პროცენტით გახარებასთან ერთად გავადიდოთ ყურძნის მოსავლიანობა და ხარისხი, კულტურულ მდგომარეობაში ჩავაყენოთ ნარგავები.

შეკრებაზე სხვებთან ერთად სიტყვით გამოვიდა სოფ. აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრი, რაიონის პირველი მევენახე სტახანოველი ამხ. მოსე კასრელაშვილი.

მ. კასრელაშვილი ბრიგადირია. შარშან მან პირველმა დააყენა საკითხი გადიდებულიყო ნამყენთა გახარების ნორმა.—თუ მონდომებით მოვკიდებთ საქმეს ხელს, ნამყენი არათუ 40 პროცენტით არამედ 70-75 პროცენტითაც შეიძლება გავახაროთ —მტკიცედ აცხადებდა იგი.

ზოგიერთი აგრანომი, რომელიც წინააღმდეგი იყო ამ მოსაზრებისა, ამბობდა:—მევენახეობის ლიტერატურაში ვერ იპოვით ცნობას, რომ ნამყენი 40 პროცენტზე მეტი სადმე გახარებულიყოს.

კასრელაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირა რაიკომის მდივანმა. ამხ. კარსანი[illegible] გამოეხმაურნენ. გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სოფ. შალაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მყნობელმა ნიკო გველესიანმა გაახარა ნამყენთა 86,9 პროცენტი, ნ. ვარდანაშვილმა —86, ლ. ჯოხარიძემ—84,5. ნამყენთა გახარების მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე სოფ. რუისპირის „ყურძენ-თავთავის“, წინანდალის მათიკაშვილის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

რაიონის კოლმეურნეობებს შორის მოწყობილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი სოფ. შალაურის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ დაიჭირა. სოცშეჯიბრების რაიონულმა ჟიურიმ ეს კოლმეურნეობა დააჯილდოვა სატვირთო ავტომანქანით. ხოლო კოლმეურნენი ფ. გოცირიძე, ნ. გველესიანი, ნ. ვართანაშვილი, ლ. ჯოხარიძე, ა. პაატაშვილი, შ. გიორგელაშვილი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე) რ. სავანელი (კოლმეურნეობის აგრონომი)—პატეფონებით, მ. ჯავახიშვილი, ს. მჭედლიშვილი, და ნ. ჭყოიძე—სანადირო თოფებით.

სოცშეჯიბრების პირველი ორგანიზატორი მ. კასრელიშვილი, რომელმაც შარშან 18.750 ნამყენიდან 14.341 გაახარა, დააჯილდოვეს პატეფონით. ენერგიული შრომისათვის რაიკომის მდივანმა ამხ. კარსანიძემ მასვე აჩუქა თავისი ცხენი უნაგირით.

შეკრებაზე გაიცა სულ 18.942 მანეთის ღირებულების 79 ჯილდო. მათ შორის 20 პატეფონი, 20 საათი, 20 სანადირო თოფი, 2 ველოსიპედი და 4.600 მანეთი ფულად.

სოფ. რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ თავმჯდომარემ ამხ. არჩილ ძამუკაშვილმა იკისრა მიაღწიოს ნამყენთა 90 პროცენტით გახარებას. ამავე კოლმეურნეობის წევრმა გიორგი იგრიაშვილმა ვალდებულება აიღო ნორმით გათვალისწინებული 18.000-ის ნაცვლად მოუაროს 25.000 ნამყენს.

სოფ. აკურის კოლმეურნეობა “მოწინავის“ წევრებმა სტახანოველთა შეკრებას პირობა მისცეს, რომ ისინი მიიღებენ ჰექტარზე საშუალოდ 80 ცენტნერ მოსავალს, ხოლო ცალკეული ნაკვეთებიდან 100-120 ცენტნერს.

მისასალმებელ წერილში, რომელიც შეკრებამ ამხ. ლ. ბერიას გაუგზავნა, თელავის რაიონის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მევენახე სტახანოველებმა იკისრეს არ დაკმაყოფილდნენ პირველი წარმატებებით და კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა აგროტექნიკის დაუფლების გზით მოსავლიანობის გადიდებისათვის, ყურძნისა და ღვინის მაღალი ხარისხისათვის.

**ტ. აცანელი.**

## პუშკინის საღამო ლონდონში

**ლონდონი,** 3 მარტი (საქინფ.). გუშინ „პენ-კლუბის“ (მწერალთა ორგანიზაცია) ლონდონის განყოფილების მოწვევით, სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ინგლისში ამხ. მაისკიმ გააკეთა მოხსენება პუშკინისა და მისი როლის შესახებ რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. დარბაზი სავსე იყო: მოხსენებას დაესწრნენ ინგლისის ლიტერატურული წრეების ფრიად გამოჩენილი წარმომადგენელნი, ცნობილი ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწენი.

პუშკინის საღამომ დიდი წარმატებითა და აღმავლობით ჩაიარა.

### ნემო

## გახდება თუ არა ბალტიის მხარე დასავლეთის მანჯურიად? *

როგორც პრაღის გაზეთი „ნაროდნი ოსვობოძენი“ იუწყება, გერმანიის მთავრობა ცდილობს დაარწმუნოს ბალტიის სახელმწიფოები შეუერთდნენ იაპონია-გერმანიის ხელშეკრულებას. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეს ხელშეკრულება „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ კულისებს უკან ფარავს სამხედრო კავშირს, რომელიც მიზნად ისახავს ევროპისა და აზიის მსოფლიოს განაწილებას ტოკიოსა და ბერლინს შორის. ამ ხელშეკრულების მახვილი განსაკუთრებით მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ.

გერმანიის ფაშიზმის ბიბლიაში — ჰიტლერის „ჩემ ბრძოლაში“ მე-749 გვერდზე ნათქვამია: „კავშირი, რომელიც ომს არ ისახავს მიზნად, უაზროა, კავშირები მხოლოდ ბრძოლისათვის იდება“. და მართლაც, გერმანიის ფაშიზმი, მიისწრაფის რა ომისაკენ, მთელ თავის ქვეყანას სამხედრო არსენალად აქცევს და ეძებს მოკავშირეებს, რათა გამოსავალი ჰპოვოს იმ იზოლაციიდან, რომელშიაც იგი იმყოფება, რათა შექმნას ძალთა ისეთი შეფარდება, რომელიც ხელსაყრელი იქნება მისთვის მის მიერ განზრახულ ომში.

შემთხვევითი როდია, რომ გერმანიის ფაშიზმი, რომელმაც სამხედრო ბლოკი დასდო იაპონიასთან, მიისწრაფის უწინარეს ყოვლისა ჩაითრიოს ამ ბლოკში პოლონეთი, უნგრეთი, ფინეთი და ბალტიის ქვეყნები. ესენი ხომ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის მეზობლები არიან, და სწორედ სსრ კავშირის წინააღმდეგაა მიმართული გერმანიის ფაშიზმის მტაცებლური გეგმები, რომლებიც მან ყველას გასაგონად გამოაცხადა მთელ მსოფლიოს წინაშე ფაშისტური პარტიის ნიურნბერგის უკანასკნელ ყრილობაზე. მაგრამ თავისი ანტისაბჭოთა სამხედრო გეგმების რეალიზაციისათვის გერმანიის ფაშიზმს ესაჭიროება „საზღვარი კრედიტით“ (სტალინი) და ეს საზღვარი მას სურს ბალტიის ქვეყნებისაგან მიიღოს.

ცნობილი მებრძოლი გერმანიის ფარულ შეიარაღებათა წინააღმდეგ ბერთოლდ იაკობი თავის წიგნში „გერმანიის ახალი არმია და მისი ბელადები“, რომელიც 1936 წელს პარიზში გამოვიდა, სწერს:

„თუ ბერლინს სურს დაიწყოს სამხედრო შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გარდა ლაშქრობისა ცენტრალურ პოლონეთზე გავლით, რაც ყოველ, თუნდაც უაღრესად ხელსაყრელ გარემოებებში, შეიძლება მხოლოდ დიდი სიძნელეებით განხორციელდეს, არის ერთადერთი გზა — ბალტიის ქვეყნებზე გავლით“ (გვ. 61).

„ლატვიის და ესტონეთის არმიების სამხედრო ძლიერებას ბერლინის გენერალური შტაბი არცთუ მაღალ შეფასებას აძლევს, ყოველ შემთხვევაში, ფიქრობენ, რომ ეს ჯარები ვერ შესძლებენ მნიშვნელოვნად შეაფერხონ გერმანიის შეტევა ბალტიის ქვეყნების გავლით. გერმანიის სამხედრო წრეებში ლენინგრადზე შეტევის განხორციელებისათვის საკმაოდ ვადად მიაჩნიათ მაქსიმუმ 14 დღე“ (გვ. 62).

ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ფაშიზმი ვარაუდობს მოახდინოს ბალტიის ქვეყნების ოკუპაცია მაქსიმუმ 14 დღეში, რათა უწინარეს ყოვლისა შექმნას ბაზა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. მაგრამ სავსებით უეჭველია, რომ სამხედრო ბაზად გადაქცევასთან ერთად ბალტიის ქვეყნები გადაქცეულ უნდა იქნან გერმანიის კოლონიად. არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ბალტიის ქვეყნების შინაგანი მშვიდობიანობისა და ნაციონალური დამოუკიდებლობის გადაცემა გერმანიის სამხედრო-ფაშისტური ჩექმის „დასაცავად“, ეს იგივეა, რომ თხა ბოსტანში შეუშვა.

ამჟამად, როდესაც გერმანიის ფაშიზმი ცდილობს ჩაითრიოს ბალტიის ქვეყნები თავის სამხედრო ბლოკში ტოკიოსთან, სავსებით დროული იქნება გავიხსენოთ საბჭოთა მთავრობის მიერ 1934 წლის აპრილში მიცემული წინადადება ბერლინსა და მოსკოვს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ, „ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის და ყოველგვარ ისეთი ღონისძიებისაგან თავის შეკავებისათვის, რომლითაც პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძლებოდეს ამ დამოუკიდებლობის დარღვევა“. ბერლინმა უარჰყო ეს წინადადება, რომელიც ემსახურება მშვიდობიანობის ინტერესებს ევროპაში და განსაკუთრებით ბალტიის ქვეყნებში. ნაცვლად ხელშეკრულებისა გერმანიისა და სსრ კავშირს შორის, რომელიც მშვიდობიანობის გარანტიას მისცემდა ბალტიის ქვეყნებს, გერმანიის ფაშიზმი ცდილობს ჩამოაშოროს ბალტიის ქვეყნები მშვიდობიანობის კოლექტიური უზრუნველყოფის სისტემას და ჩაითრიოს ისინი სამხედრო ბლოკების სისტემაში.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა თავხედური, ცალმხრივი მოსპობა, რასაც გერმანიის ფაშიზმი ატარებს, სამხედრო ბლოკის დადება იაპონიასთან, რაც მთელ მსოფლიოს ემუქრება, ბერლინისა და რომის შეიარაღებული ინტერვენცია ესპანეთში, ევროპის გათიშვა ორ მტრულ ბანაკად —ასეთია აგრესორის მეთოდები.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ როგორც ბელგიასა და პოლონეთში, ისე ბალტიის ქვეყნებშიაც მოიპოვებიან წრეები, რომლებიც სიამოვნებით იძლევიან თავის მოტყუების საშუალებას და ჰქადაგებენ თავისი ქვეყნებისათვის „ნეიტრალიტეტის“ პოლიტიკას, ფიქრობენ, რომ ამ გზით მოახერხებენ გადაარჩინონ თავისი ქვეყნები იმ სამხედრო საფრთხეს, რომელიც მათ გერმანიის ფაშიზმის მხრით მოელის. მაგრამ გერმანიის ფაშიზმი მთელი თავისი პრაქტიკული ღონისძიებებით ცხადჰყოფს, რომ მის მომავალ გეგმებში ნეიტრალიტეტს, ყოველ შემთხვევაში, ადგილი არა აქვს [illegible] ქვეყნები მიკუთვნებულია „ენობრივად და კულტურულად იმ გერმანულ მხარეს“, რომელიც აუცილებლად შეერთებულ უნდა იქნას „დიდ გერმანიასთან“. ბალტიის ქვეყნების გერმანული ნაცუმცირესობა ბერლინში მიაჩნიათ მესამე იმპერიის ფორპოსტად და ამის შესაბამისად იყენებენ მას. ამ ფორპოსტის მთავარი ამოცანაა მოამზადოს ნიადაგი გერმანიის ფაშიზმის ჯარებისათვის, ხოლო ბალტიის ქვეყნების ოკუპაციას მათი გერმანიზაცია უნდა მოჰყვეს.

ბალტიის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ხშირად იმართება სასამართლო პროცესები გერმანული ნაცუმცირესობის პირთა წინააღმდეგ. ეს პროცესები ცხადჰყოფენ, რომ ბერლინის აგენტები ინტენსიურ საქმიანობას ანვითარებენ ბალტიის ქვეყნების იდეოლოგიური, ეკონომიური და უშუალო სამხედრო დაპყრობისათვის. გერმანიის ფაშიზმი გახდა ბალტიის ქვეყნების ფაშისტური ჯგუფების უშუალო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. ეს ჯგუფები, რომლებსაც გერმანიის ფაშიზმი აფინანსებს, ოცნებობენ ზოგი „დიდ ფინეთზე ურალამდე“, ზოგი კი მესამე იმპერიასთან შეერთებაზე.

გერმანიის ფაშიზმი არ იშურებდა ღონისძიებებს, რათა შეიარაღებული პუტჩების გზით თავისი მარიონეტები ჩაეყენებინა ბალტიის ქვეყნების ხელისუფლების სათავეში და თავის ვასალებად გადაექცია ეს ქვეყნები. თითქმის ერთი წლის წინათ ჩაიფუშა „ვაბსების“ პუტჩი ესტონეთში. [illegible] ნები საომოვლელად გამზადებულნი იყვნენ და არიან, რათა ძალადობის გზით ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება და თავისი ქვეყნები ჰიტლერის სამხედრო ეტლის მაჩანჩალად გახადონ.

როგორც „აღმოსავლეთის პრუსიელებმა“ გადააქციეს მანჯურია თავის ვასალად და ბაზად მომავალი სამხედრო გალაშქრებისათვის სსრ კავშირის წინააღმდეგ, ისე ამჟამად „დასავლეთის იაპონელებს“ სურთ შექმნან თავისი მანჯურია სსრ კავშირის წინააღმდეგ თავისი საომარი გეგმებისა და აღმოსავლეთ ევროპაში თავისი ექსპანსიის ყაჩაღური გეგმების გასატარებლად. და ამ დასავლეთის მანჯურიის როლს გერმანიის ფაშიზმი ბალტიის ქვეყნებს განუმზადებს.

საკმარისია გაკვრით გადავხედოთ ფაშისტურ პრესას, რათა დავრწმუნდეთ, რომ გერმანიის ფაშიზმი უდიდეს ყურადღებას აქცევს ბალტიის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ პრობლემებს. გერმანიის ფაშიზმი ცდილობს გააძლიეროს თავისი გავლენა ბალტიის ქვეყნებზე მძლავრი ეკონომიური ზეგავლენის გზით. იგი აქაც, სწორედ ისევე, როგორც ბალკანეთის ქვეყნებში, ცდილობს საქონლის ღირებულება გადაიხადოს არა იმდენათ ფულთან საქონლით რამდენადაც ზარბაზნებითა და აეროპლანებით. თუ ფინეთის ფრონტელები ათვალიერებენ გერმანიის უდიდეს სამხედრო-ქარხნებს — კრუპის ქარხნებს, ხოლო ლატვიის ინჟინრები გერმანიის საავიაციო ქარხნებს, თუ ესტონეთის გენერალური შტაბის უფროსი რეეკი ბერლინში იმყოფება „გერმანიის არმიის წყობის გასაცნობად“, ამ ვიზიტების ზურგს უკან იმალება ბერლინის ცდა — გადამწყვეტი გავლენა მოიპოვოს ბალტიის ქვეყნების შეიარაღებაში. დასასრულ, აეროდრომების დიდი მშენებლობა და სამხედრო მრეწველობის გაფართოება ბალტიის ქვეყნებში ცხადჰყოფს, თუ როგორ იმზადებს გერმანიის ფაშიზმი უკვე დღეს სტრატეგიულ სამხედრო ბაზას.

[illegible] ქვეყნები თავის პლაცდარმად სსრ კავშირთან ომის შემთხვევისათვის, გამოიყენოს ისინი მომავალ ბრძოლაში“.

პრაღის გაზეთის ეს საყურადღებო შენიშვნა იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ გერმანიის არმიის პირველი სამხედრო ოლქი (აღმოსავლეთ-პრუსია) უკვე ამჟამად მობილიზაციის მდგომარეობაშია. აღმოსავლეთ-პრუსიაში სამხედრო სამსახურის ვადა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე გერმანიის დანარჩენ ნაწილებში. მაშინ, როდესაც გერმანიის ყველა დანარჩენ სამხედრო ოლქში გარნიზონები ჩვეულებრივად 3 დივიზიისაგან შესდგება. აღმოსავლეთ პრუსიაში დგას ოთხი დივიზია და კავალერიის ერთი ბრიგადა. მთელი აღმოსავლეთ-პრუსია გადაქცეულია თავით-ფეხთამდე შეიარაღებულ, მეტად გამაგრებულ ყაზარმად, ვინაიდან იგი გათვალისწინებულია იმ ადგილად, საიდანაც გერმანიის არმია უშუალოდ დაიწყებს შეტევას ბალტიის ქვეყნებზე.

შეუძლებელია შემთხვევითად ჩაითვალოს, რომ გერმანიის ახალი არმიის ხელმძღვანელობაში განსაკუთრებით ძლიერ წარმოდგენილი არიან ის ელემენტები, რომლებიც მსოფლიო ომის დროს აღმოსავლეთ ფრონტზე იყვნენ, ანდა ხელმძღვანელი პოსტები ეჭირათ აღმოსავლეთ-პრუსიაში ომის შემდეგ. მაგალითად, გერმანიის არმიის ახლანდელი მეთაური ბლომბერგი დიდხანს იყო ჯარების სარდლად აღმოსავლეთ-პრუსიაში. გენერალი ფრიჩი, არმიის ახლანდელი სარდალი, 1919 წელს მსახურებდა მეექვსე სათადარიგო კორპუსის შტაბში იმ კორპუსისა, რომელმაც ბალტიის ქვეყნების ოკუპაცია მოახდინა. გენერალ-ლეიტენანტი ფონ-გამერშტეინი, რომელსაც ამჟამად გენერალურ შტაბში უჭირავს პოსტი, 1914 წელს გერმანიის მერვე (აღმოსავლეთ) არმიაში მსახურებდა. სამხედრო მომარაგებას განა-[illegible] რომლებიც კარგად იცნობენ აღმოსავლეთ-პრუსიას, საშუალებას გვაძლევს გამოვიყვანოთ საინტერესო დასკვნა გერმანიის ახალი არმიის დანიშნულებაზე.

ამჟამად გერმანიისა და ბალტიის ქვეყნების ურთიერთობაში გარეგნულად მშვიდობიანობა სუფევს. თვით ლიტვის მიმართ გერმანიის პრესამ თვალსაჩინოდ შეანელა ტონი. მაგრამ ამ წყნარი ზედაპირის ქვეშ ყველაფერია, გარდა სიმშვიდისა. გერმანიის ფაშიზმი არც კი ფიქრობს ლიტვასთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებას. კიდევ უფრო ნაკლებად ფიქრობს იგი იმაზე, რომ რაიმე ხელშეკრულება დაიცვას. ამიტომ იგი წარმართავს თავის ღონისძიებებს დანციგის ხელში ჩაგდებისაკენ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, პარაგრაფობით სთელავს ფეხქვეშ ვერსალის ხელშეკრულებას. ასე იქმნის გერმანიის ფაშიზმი ახალ [illegible] აღმოსავლეთ ევროპაზე შეტევისათვის. ესპანეთის სისხლიანი ამბები ნათლად გვიჩვენებენ ბალტიის ქვეყნების მომავალს, თუ მათ ვერ მოახერხეს შეუკავშირდნენ ყველა იმ ძალებს, რომელნიც იცავენ მშვიდობიანობის საქმეს და ხალხთა დამოუკიდებლობას.

---

*) წერილი სპეციალურად დაწერილია „კომუნისტისათვის“.

# სტალინი

## ბავშვობა და ყრმობა (ადგილები პოემიდან)

გიორგი ლეონიძე

## ნაწყვეტები პირველი კარიდან

### გახსოვს შენი ნააკვნარი?

1.

გახსოვს შენი ნააკვნარი,
მიწა — ბინა შენი გვარის?
გახსოვს მტკვარი?
მისი შხეფი სხეულს ალითონებს,
გახსოვს კალო, ტივზე კვარი.
ალიანი თონე?

და ლიახვი,
როგორც ერთი აბრეშუმის გაბმა?
რა ყიყინა, რა კრიახი
იცის მისმა ქაფმა!

როგორ იცის აჯანყება,
კლდეზე მკერდის დაჯახება?
გადაიყრის თავზე ქვიშას,
ამოსტყროცნის ქაფის ნაფოტს.
რკინის კეტით დასდებს ნიშანს,
კლდეს გაჰღეჭავს, მთას გააპობს...
ძველ კალაპოტს გადაჰხეთქავს;
თავისუფლად ყოფნა უყვარს,
თავისუფლად გულის ფეთქა!
მისი წვეთი თითეული
არის ცეცხლის ნაპერწკალი;
გული მთას აქვს მიდებული, —
იქ იზრდება ვეფხის ბოკალი!
ის დამღერის აკვნის პირად
გრიგალხმიან იავნანას
და მონობის გასაგმირად —
შვილს ჯიბეში უდებს დანას!

2.

მოჩხრიალებს, მოდის მტკვარი, —
ქართლის ძუძუ ამაგდარი...
შვილებზეა გადამკვდარი,
გვახსოვს მისი თავდადება, —
მღერით შევა ნათესებში
ოქროს წვეთი გაჰვარდება!
ბაღებით და ვენახებით
აიყვავებს გაშლილ კიდეს.
ააცურებს წყალში სიმინდს.
მსხვილ ტაროებს ჩამოჰკიდებს...
ხეს დახურხლავს ჭრელი ხილით,
დასდგამს ყვითელ თივის ზვინებს,
გადმოუშვებს ღარზე მაჭარს,
ქვევრში ტკბილად ჩააძინებს....
სიყვარულით უვლის შვილებს,
მზა აქვს მათთვის პური, ხორცი, —
აბრუნებს დიდ წისქვილებს,
ცვარცვარ ციმორს ამოსტყორცნის!

აანთებენ დიდ მაშხალებს
შუქზე თევზი შეგროვდება,
დააყრიან სველ სველ ბადეს,
შიგ ჭანარი შეგორდება!
ნაპირზე დუღს შავი ქვაბი,
ქაფქაფებს და ქაფი შრება,
შიგ ლურჯსავე ქვამარილში
ლურჯი თევზი იხარშება...

მოჩხრიალებს მოდის მტკვარი
და თან ერთვის ოფლის ღვარი...

★

სატიოზე, საცა ტალღა
აქოჩრილი გაქანდება,
გაცურდება ჭინკა ბიჭი,
უყვარს თავის დაქადება,
ისარივით ზვირთს მიაპობს,
თავდაყირა წყალში დგება!

★

და კამეჩი უღლის დევი
ლაფში ილბობს დაჭყვარ წვივებს,
ჩავარდება შავს მორევში,
პატრონს შიშით გააციებს!
აგერ მოსჩანს მუშტის ტოლა,
მოსჩანს თუშურ ქუდის ტოლა,
მოსჩანს ქუდის ნათხალი...
მოსჩანს როგორც შავი ხალი...
ვაი, ველარ ჰხედავს თვალი!

მაგრამ უღლის გამტეხავი
განა არი წყალთან მფთხალი?
რქით გამოჰხევს მდორე მორევს,
არყევს როგორც ქარიშხალი!
ამოვა და ალმას მძივად
შავს ბალანზე ჩასდის წყალი...

★

მოჩხრიალებს, მოდის მტკვარი,
და თან ერთვის ოფლის ღვარი...
იბრძვის ხალხი ცელნამგალით,
სახნისით, და თოხით, ბარით...

უყვარს მტკვარსაც აზავთება
და თუ ეხლა შავს კლდეს ჰკოცნის, —
ის აქლემის ტოლა ტალღას
როცა დროა, გადმოსტყორცნის!..

3.

აქ უყვარდა ჩიტის ბუდე
დაკიდული, თითქოს ქისა
ტირიფების თეთრი ზღუდე
და ნაყარი ლოდი კლდისა;
ფშანის წყალი მოკამკამე,
ციცინათელა, თბილი ღამე...
ვარდასხმული ცა, კრიალა,
ბულბულების ბაღში სტვენა;
აქ მღეროდა ხმაწკრიალა,
აქ ეჭირა „დედაენა“!

★

გახსოვთ, ტორტლავ, წმინდაწყალო,
მისი ხტომა და სირბილი?
სასტვენელა ჩალის სტვირი
და ბზრიალა დაბორბლილი?

— ჩქარი არი, ვით შურდული,
შუბლზე ქოჩორ დაბურდული!
ვინ მოსხლიტა კოჭი კოხტად,
რომ ნიშანში კაკალს მოჰხვდა?
ასკინკილა უყვარს ცერით,
ჩილიკა და აგანგალა;
ლახტში, ლაფტში ქამრის წვერით
ბევრი ბიჭი აკანკალა!

★

მალე, მალე გაქანდება
ყველიერის საქანელა,
გახურდება მალე კრივი...
ზრიალი და დაკა, დაკა!
თხელია და რა ტანმკვრივი,
რა ყოჩაღად დაეტაკა!
ვით მიმინო ტანსწრაფია,
პატარაა, რას არ ჰბედავს?
ის პირველი მოწაფეა
დედისერთა შერჩეს დედას!

არ იზრდება სხვა ბიჭივით
უსაქმო და შარახვეტა,
უყვარს წიგნი, — და ამბებში
მას გმირობა უყვარს მეტად!
არსენას ლექსს იზეპირებს,
ეძებს ხალხში მისებრ კაცებს,
გამოარჩევს, ძველ გმირს პირველს, —
აბჯრით მოსილ სააკაძეს!

### ქართლის ბაღი

1.

ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბაღი
შეფრქვეული მინანქარით,
იაგუნდის წვიმა დასწვიმს,
სურნელების დაჰქრის ქარი.
ელავს ბაღი — ხოხბის ყელი
შვიდ მაისის წვიმით მთვრალი
მთებს და ველებს დასთამაშებს
გაზაფხულის მწვანე თვალი...
რძე კოკორში მოწოლილი
ჰკონავს ყლორტში ყველა მხრიდან
თითქოს ქალი ფანჯარიდან,
იყურება ვაშლი ხიდან,
ჰგავს ალვისხე თეთრ ჩოხაში
საქორწილოდ მორთულ სიძეს
და ატამი ტურფა ყმაწვილს,
აკვანში რომ გაიღვიძებს.
მარგალიტის ტყუპის ცალი,
ტოკავს ბალი ნება-ნება,
ცერის ტოლა თეთრი თუთა
დათაფლული შტოზე დნება:
ბრწყინავს ბაღი, ელავს ბაღი
ფირუზქარით დარხეული:
ყურძნის მსხვილი მარგალიტი,
ვაზი ვარსკვლავ ჩახვეული;
ოქროს წყალი, ატმის ლალი,
შინდის ლალი, მარწყვის ლალი,
ბროწეულის ყვავილები,
თითქოს თონის ნაკვერცხალი, —
ათენებენ ქართლის დილას
ტოროლების ტაშისკვრაში, —
მარწყვისფერად, შინდისფერად
ილებება გარიჟრაჟი!
ამოხეთქა შადრევანმა,
რძე და სისხლი, ქაფი ზღვისა...
გულზედ იამოფენილი
ელავს ზეცა თვალმარისა,
ვეფხის ჭრელი პერანგივით
გაიშალა ქართლის ველი, —
ყანა წვიმით გაჟღენთილი,
ფირუზთვალა ცვარით სველი!
ბრწყინავს ქართლი — დიდი ბაღი
ყვავილების ფერად ზღვითა,
მარჯანი და ზურმუხტ-ქარვა
ნათელს სტყორცნის ყველა ხიდან...

2.

შენ აყვავდი ქართლო მეტად,
მზე შენა და ვარდის ფენა,
შენ დაჰბადე, შენ გაზარდე,
— ვინც ქვეყანას გაუთენა!
შენს ნაორთქლარს ცვარსა სვამდა,
შენ მშობლად დაგჩვეულა, —
მისი ყრმობის ყვავილვარდი
გულს გაყრია სამკაულად...
შენს წიაღში იწრთობოდა,
ვით ცხელ გრდემლზე ცხელი რკინა,
შენი მიწა მკერდნათელი,
არის მისი ყრმობის ბინა;
დღეს მართალი განთიადი
განათებს და შუქით გხატავს,
შენი შვილის სიყვარულით
პირს ღიმილი მოგემატა!..
შენს ბუჩქებში, მთებში, წყლებში
მღერის ხმები სიცოცხლისა,
გაიხარე, იამაყე,
მონობა ღა გზარავს სხვისა.
შენ — მადლობა, შენ — დიდება
მწვანიანო მიწის პირო, —
ოქროს საბლით მოზომილო,
შე პატარა გორის ძირო!

### ქალაქი ვერხვის ფოთლებში

იმპერატორი ბიზანტიის დიდი ერეკლე, — როცა ირანზე მიდიოდა გასალაშქრავად, — შეჩერდა გორში ოქრო-ვერცხლი აქ შეინახა და ჯორს უწოდა მან ტონთით, ანუ ოქროს მთა.

**მატიანე**

1.

ხალხს მოსვენება არვინ ადროვა,
ხალხი გაძარცვა იმპერატორმა...
ხელისხლიანმა მოჰკაწრა მიწა,
ხალხს სახრჩობელა სახსოვრად მისცა;
ქართლო მახვილით მოიმთაბარა,
ქალაქო, დავლა შენ მოგაბარა!
მაგრამ უკვდავი თავისუფლება,
თურმე არასდროს არ იღუპება!
თურმე მოგანდო, თავის ნუგეში,
თავისი განძი ხალხმა ფარულად:
დროშა გდებია ჩუმად უბეში,
რომ გაიშალა გრიგალქარულად, —
ბელადის აკვნის ხარ შემნახველი.
საყვარელია შენი სახელი!

2.

განა სხვაც არი სატრფო ალაგი,
განა თვით რომი შენი ტოლია?
სადღაც აშენდა მგლის რძით ქალაქი,
მის შვილთ მგლის მადა გამოჰყოლიათ!

აქ კი — ვეფხს ძუძუ უწოვებია,
უზდია ვეფხთა წინამძღომელი, —
ვინც ხალხის მაჯას აჰხსნა ბორკილი
მტერი მოუსპო გაუძღომელი;
მთელი ქვეყანა შეიხედია,
მეორე მზეა — ქვეყნად მდგომელი!

ძველო ქალაქო, მცირე ქალაქო,
შენმა ნათელმა ხმელეთს უწია,
რამდენიც უნდა გადმოალაგონ,
შენებრ ნაყოფი ვის მოუცია?

შენ — ბედნიერო მიწის ნაჭერო,
ცალკე ლამაზო, ტურფავ მთლიანად,
შენ ხარ ვენახი დაკრეფის მერე,
მსოფლიომ შენგან მოირთვლიანა!

ჩვენი მადლობა, ჩვენი ოცნება
არის შენს მკერდზე დახვავებული;
ვინ ჩაგიაროს და საკოცნელად,
ხედ არ მოგვარდეს გახარებული!

### გორის ციხე

1.

ვით გამოხრული არწივის მხარი
ქალაქის თავზე ჩანს ნაციხვარი!..
როდის ააგეს, როდის დაწიხლეს,
რას იტყვის ჩონჩხში ჩასული რჩილი?
ბავშმა პირველად შეჰხედა ციხეს.
აკვანს დაეცა ციხის აჩრდილი...
ციხის ჩეროში დარბოდა ბავში,
აქ ირწეოდა მისი აკვანი, —
მაშინ ქვეყანა იყო საკანი
გამოკეტილი, ვით ღამე მთაში.

ხრამით ხრამამდე ჩამოზღუდული!
მისი კედლები ცხელი თონეა
სისხლიან პურის გამომცხობელი;
ის ამირანის სახლი მგონია
თავისუფლებით გაუძღომელი!

ამხანაგი სტალინი ყრმობაში

დაღამდებოდა... თითქოს ციხეში
ეძინა ხალხს და ეძინა ქალაქს;
მსხვილი მათრახით ვიღაც უხეში
გულს მოუჭერდა და თავის ქალას,
თითქოს ლაჟვარდსაც ის კაცი ჰხვევდა
დახავსებული შავი ღრუბლებით...
აქ—მეოცნებე ბავშვს თან დასდევდა
სევდა არწივულ თავისუფლების...

2.

ისევ ისე დგას ციხე გმირული
თუმცა ყავლი აქვს გათავებული;
ქართლის ძვალსისხლით ამოკირული,
კლდეზე გალავნებ გადავლებული.
ქართლის ცხოვრების ძველი სანგარი,
დადუღებული რკინის კუნძული;
ცალგვერდ ნგრეული და ლოდმაგარი,

3.

აქ თვით უფლოსმა ქართლის უფალმა
საძირკვლად ჩაყარა ხერხემლის ნამტვრევი;
დევთ ნამუხლარში, სიცხის ალმურში
ალაპს უხდიან სალამანდრები...
აქ ისკანდერმა გასჭრა კლდეკარი,
შესძრა ქვეყანა, ვით ხის ფოთოლი,
აქ მონგოლებმა ლეწეს ბეგთარი,
ცამდე ასტყორცნეს ძვლების გოდოლი.

აქ მიტრიდატმა რომის ჯარები
თავისს სიკვდილზე დაიპატიჟა;
აქ მობღაოდა თხრილზედ არაბი
შიშველი ხმალით ხალიფატისა!

★

აქ ყიზილბაში და ხაზარები...
ნაპერწკლის მტყორცნელი ყივჩაყთა ცხენები...
მიწა დაბზარული და ხმა საზარელი,
აზიის ქვიშის და უდაბნოს ჩვენებით...
ყვავილს ვერ ეგემნა თვისი ყვავილობა,
ფრინველს ვერ ეშოვნა საჯდომი ალაგი;
ქვას ესხა ისარი, ხეს ჰქონდა ჭრილობა,
ეფინა კალია მინდვრების დალაქი...
მაგრამ ამ სისხლის მოედანიდან
ხმალმოუქნევლად არვინ გასულა;
აქ მტკავლეულად მიწას იცავდნენ
და სისხლს აძლევდნენ მის საფასურად;
დროშამ ცრემლებით დაკერებულმა
ყველა ჯურღმული ძლევით გასცურა
და საქართველოს ხალხმა მშრომელმა
თავისი დახსნა დაიდასტურა!

## ნაწყვეტები მეორე კარიდან

### დაბადება და ძეობა

აზიური გადმოცემით, როცა ბუმბერაზი ადამიანი იბადებოდა, მისი სახლის ბანზე (ერდოზე) ორბი ჯდებოდა და ჰაერში არწივები მღეროდნენ.

1.

არც ერდოზე ორბი იჯდა არც მღეროდნენ არწივები.
ქოხზე ჩიტი დაფრინავდა, შეყინული ნამძივებით.
ჩიტს ჰშიოდა... არც ქოხეში იყო ლხინი დარხეული,
იდო თოვლი, როგორც მატყლი, თითისტარზე ჩახვეული...
დაიძახეს მეზობლებმა: ბიჭი გაჩნდა ჩვენ უბანში!
გამორბიან მოსალოცად: მიულოცოთ მამას ბავში!
მოსაკითხი მოაქვთ წესით, — ხილზე ხილი გადაბმული.
ქოხში ჰხვდებათ მელოგინე სიხარულით განაბული.
და ბებიას ღიმნათელი მეჭნარპირზედ აქვს გადაყრილი...
ასე ბრწყინავს დილის სხივით მთაზედ მუხა წელწაწრილი.

2.

მამალი გადაახტუნეს, — ბავშვი ფხიზელი გამოვა!
მერცხალი პირს გამოავლეს —ენაჭიკჭიკა გამოვა!
აკვნის თავს დადგეს მარილი, — მარილიანი გამოვა
გულზე შაქარი დაადეს. — მოსიყვარულე გამოვა!
აკვანში რკინა ჩაუდეს, — შეუდრეკელი გამოვა!

3.

— გაშლილო ოქრო, ვისი ხარ, გვრიტო, რომელი ბუდისა?
წამლადაც დაგენაყები, კუნწულავ იაგუნდისა...
— გაჩუხჩუხდი და გაღვივდი, მენახე გადაქოჩრილი,
— ყურში აკოცე დედაო, იქნება შენი მორჩილი!
— მყინვარა წყალში აბანე, მით ძვალი მაგარი არი,
— ნასვამ წყალს ნუ მიაკარებ. გაზრდა ექნება გვიანი!

4.

ხმა გამოვიდა უბანში — უბანს გაუჩნდა სახარე!
მამა შემოდის ვაჟკაცი, — ვაჟიანობა ახარეს!
დაეგდო დაზგა, სადგისი, ბაღდადი ხელთა საჭერია,
სამჯერ ჩაკოცნა აკვანი, — დღეს სიხარულის ჯერია!
ძეობას იხდის. ქამარში აკეცა ჩოხის ტოტები.
რცხილის ხონჩაზე დაეწყო მკლავის ოდენა შოთები.
ატენურ ღვინოს აჩენენ, სუფრა მით არი ქებული,
დამშვენდა ჭრელი სალვინე ჯამებით ჩარიგებული.
დაეწყო ოხხის ფიჩხული, — ლუკმა კი არა, — რძე არი!
ჩაკვერცხილ დიდალს ჰხლეჩავენ, მწვადი შემოდის ცვრიანი.
გარედ ნამქერი გრიალებს, ცა ქარმა შეაჯახუნა,
სად არი ბაღჩის მწვანილი ცვარგადაყრილი ტარხუნა,
ახალი ხახვი სად არი, ელვარა—ქალის კბილებით?—
ზამთარი არი, რა უყოთ, ყინვა და ქარტეხილები...

5.

მომლოცველები მოდიან — ხელოსნები და გლეხები,
წვეროულვაშ დაჭირხლულები, ნაბუქრიანი ფეხებით.
ფეხს იბერტყავენ, ლოცავენ ქუდის ხდით გარეშამოსა:
— მოგვილოცნია მირონი, საქართველოში გამოსვლა!
დაჯდება ჯმუხი დევკაცი, ჩაკირული და ძვლიანი,
ხავსიან პატალოსა ჰგავს, შეჭი აქვს ოთხმტკავლიანი!
უხდებათ სიდარბაისლე შავჩოხა ომახიანებს,
შეაჯახუნეს ჯამები, დარბაზი შეახმიანეს.
ჩამოილოცეს ცის ნამი. ვაზის რქა. ფურის ნაწველი...
მერე დუდუკმა გააბა სიმღერა გულის დამწველი.
მამა გულქართლი კაცია, სძულს პურაძვირის ქაჯობა, —
იცის, — პურადმა გულად კაცს სამი გაფრენით აჯობა!
— თუ ცეცხლი შაქზე დაჯდება, ვიცი, სტუმარი მომივა,
კაჭკაჭი კარზე ჭახჭახებს, — ვიცი, სტუმარი მომივა
სტუმარს გზიდანვე ვუცინი, — მე პურმარილის ლომი ვარ!

6.

დუდუკმა ხმა აიმაღლა, დგას თამადა ილოცება,
სიტყვა მოდის გამტკიცული: „მოგვილოცავს მირონცხება!
გაგიზარდოთ, შეგარჩინოთ, დავაჟკაცდეს ტანად, ძვალად,
უდღეგრძელოს დედის ძუძუ, მამის მუხლი, ხალხის ძალა!

7.

კარი გაიღო, მესტვირემ სტვირული ჩააკაკანა,
მოსდევს მღელვარე ცხოვრებას, ვით გუთანს — ჩიტი წკანწკარა.
აკვანზე სტვირი დაბღერტა, კოცნით ხარ გასათაფლავი,
ჩამოულოცა დიდმამა და მამა პაპის საფლავი!
სხვაზედაც ბევრი დახარჯა სიტყვა სიტყვაზე მისკვნილი,
ლექსი არ შემოჰლევია, ამოჰყრის, ვით ფქვილს წისქვილი!
ჭერი ჭახჭახებს. მღერიან მკლავი მკლავ გამოდებული,
სიმღერაა თუ ცრემლია თვალიდან ჩამოგდებული?
ხმაში ფოლადი წკრიალებს, სიტკბოს ამოსდევს ნაღველი,
სად არი სიმხნე ამდენი, ცრემლები დაუნახველი?
უხდება სუფრას ნადიმი, ვით ამინდს გამოდარება,
თეთრი ჯამების ტრიალი, ღობურად ჩამოტარება...

8.

ლობევ, რადა ხარ დაბალი, მდიდარის გადასათელი?
რად ვერ ანათებს ღამეში ღარიბი კაცის სანთელი?
ჩვენ ვმუშაობთ, მათი არი, პური, ღვინო, ბაღეული.
სიმშილი და სიღარიბე კალთაში გვაქვს გაბნეული.
ცხრა კარი აქვს საქართველოს, დაკეტილი არი ცხრავე,
დაგვესევიან ყვავ-ყორნები და ჩვენ გულ-ღვიძლს ხარბად ჰხრავენ;

დაემატა ღარიბ სუფრას ყურძნის ჩხა და ატმის ჩირი, —
სიტყვაც ბევრი მოუმატეს, არ გათავდა მათი ჭირი!
გადასწყვიტეს, არ დამშრალა, არც დაშრება ცრემლის წყარო,
ეგებ ჯავრი გულის მჭრელი ჩვენ შვილებმა ამოგვყარონ!

9.

თქვენ შვილებო შემოგჩივით,
ვართ მონობის ავადმყოფი;
გვიჭამია პური ჭირით,
სისხლისა და ცრემლის ობით!
გუთანი და დაზგა ვცვითეთ,
მიწა შრომით შევაღონეთ,
მაინც კერას ვერ მოვკიდეთ
ბარაქა და პურის ღონე.
მონაგარი სხვამ წაგვართო
თავისს სახლში დაამველა;
ჩვენ ვიყავით თავხელმარტო,
თქვენ იმრავლეთ საბრძოლველად!

ია ვარდო, მარგალიტო,
შე პატარა ცეროდინა
ღმერთმა ჰქნას და აგარიდოს
რაც ჩვენ ცრემლი მოგვედინა!
ჩვენ არ ვიცით ხელის გემო,
სხვას შევწირეთ ძარღვის ძალა,
უნდა ბრძოლით დაიჭიროთ,
რაც ჩვენ ბედმა აგვიკრძალა!
უნდა მკლავით ანადგუროთ,
რაც მონობა გვკლავდა ძველად, —
პაწაწინა აკვნის მდგმურო,
გაგვეზარდე საბრძოლველად!

10.

შეკრთა ღამე რძე დაღვრილი, ყინულებით შებორბლილი,
მზეს მამალმა შეუყივლა: მოგვანათე ლალის პირი!
აიყარნენ ვაჟკაცები ზარხოში და ნაბახური,
ხვრიში თოვლი დაიკვალა მათი პრტყელი ნაფეხურით.
დარჩა სუფრა ნაომარი, ნამღერალი, ქირნათქვამი,
გამომშრალი გოზაური... დამხობილი ღვინის ჯამი...
იმედებით სავსე ქოხი გამაგრებულ ბალავარით...
ღრუბლის ღრუში მთვარე იჯდა, ერტყა ღრუბლის გალავანი!
თოვლიანი ქარიშხალი ფოცხვეროვით კლდეზე ხტოდა,
შავი ქოხი ზანზარებდა, აკვნის თავზე ქარი თრთოდა!
ყმაწვილს შუქი ეფინება, მელოგინეს ეღიმება,
მაგრამ შვილის ტკბილად გაზრდა განა არი გლეხის ნება?
გლეხის მწარე ცხოვრებაში ბალღის დედა ნაცადია,
არათითი ვის რათ უნდა, უსახელო ქვაცა გდია!
„შავბიჭო და სიხარულო, ჩემი გულის ანაბარო,
დღე და ღამეს დავიმოკლებ, ოღონდ წიგნზე გაგაბარო“!
გულს გაიპობს, მისი შვილი უსწავლელი არ დარჩება!
ჰხედავს ქოხის კედელყურე ოქროს ფარჩით იფარჩება...
მამა პირზე სხივმოსხმული ფიქრებს გაჰშლის ხომალდებად:
„შრომას უნდა გადიდება, ქოთანს ლუკმის მომატება!
უნაშენო აღარა ვარ, დასამარხი არ ვარ სხვისი,
მყავს დაზგაზე ამხანაგი, სიბერეში — დასამხრისი!
გამოვზარდო ხელოსანი, წელს შევაკრა ფეშტამალი,
გავაყოლო ოქროს ხელი, — წინაპრების ნატამალი!
გამიზარდე გერისთავო, სალოცავო, ხატო დიდო,
ცხვარს შევითქვამ, გაგისუქო, ყელზედ ზარი ჩამოვკიდო!“
ნაცეცხლური გატკაცუნდა. ქოხში ყველას ტკბილად სძინავს...
დილა ბრწყინავს... საქართველოს მოქალაქე შეეძინა!
გიხაროდეთ ქოხმახებო, აღსდგა თქვენი ნარისხვალი,
დიდ მოხაში დაბინავდა დასაჭექად ქარიშხალი!

### ბატონები

1.

ღარიბ ქოხს რა აბადია ძვირფასი და სანეტარო?
— ტახტი, სკივრი, სამოვარი და წკრიალა ჭურჭლის თარო.
ფარღალალა ფიცრულია, ქარს ძლივს უძლევს ქოხის კარი...
წვიმის წვეთით დაჩითულა ჭერი (თითქოს ნაჩლიქარი)!
ბზის კონა და თავთავები ბოძს მიკრული სამსამ ტოტად,
ზედ სურათი, — ჩოქმოყრილი სიყვარულის წიგნს სწერს შოთა.

2.

ავადმყოფი ბავშვი კვნესის დიდი სიცხით გათანგული...
მოსჯდომია გვერდით დედა, იმედგამშრალს სტკივა გული.
რათა მღერის დარდიანი ბალღის დედა დაღონებით?
— წითელ ცხენზე მსხდომარენი სტუმრები ჰყავს, — ბატონები!
ბატონებს ხომ ლხინი უყვართ, სიმღერებიც უყვართ ბევრი,
თამაშობა მხიარული და ფერებში ალისფერი!
დახვედრა და სუფრა უნდათ, ღვინო კვერცხით ჩაფერილი,
წითელ-წითელ ნაქსოვებით კედელყურე დაფენილი.
— არ აწყინოთ ბატონებსა, მობრძანდნენ და გაგვახარეს,
შვიდბატონი შვიდი დაძმა მოეფინენ შვიდსავ მხარეს...
— იაგუნდის მარანშია ღვინო დგება ლალისფრისა,
შიგ ალვისხე ამოსულა, ტოტები აქვს ნარგიზისა,
ზედ ბულბული შემომჯდარა,გასაფრენად ფრთასა ჰშლისა...
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!
— ეს აკვანი ხარატული, შიგ ყმაწვილი დახატული,
გადაჰკვრენ, გადაარწევენ, ტკბილად ეტყვიან ნანას.

3.

— რა მივართვათ, რა ვიშოვოთ ბატონების დასადარი?
ბატონებსა ფარჩა ჰნებავთ, მაგრამ ფარჩა არსად არი;
არც ხალიჩა, არც ორხოვა, არც საბანი ატლასისა,
გვაპატიეთ ბატონებო, საწყალები ვართ ათას წლისა!
არც ყანა გვაქვს, არც მამ[illegible]ი, ბაღში ვაზი რქაწითელა,
ტახტზე ქეჩა გვიფენია, ფარდაგი და ნაბდიძველა...
ფიანდაზად ჩითს გაგიშლ[illegible] აბრეშუმად გამოდგება,
წითელ ნაჭრებს შემოგკ[illegible] წითლის შუქი და[illegible]გებათ!
— ბატონებსა სუფრა ჰნებავთ, რძით მორწყული, ვარდნაფენი,
— რძე ბავშვისთვის ძლივს ვიყიდე, ვერ ვუშოვე შაქრის წვენი.
რძეს გისხებთ, ოღონდ დასტკბით, დედა პირქვე დაიგება,
კვერს დაგიცხობთ, კაკანატელას, კვერცხებს წითლად დაგილებავთ.
— თუ არა გვაქვს ჩირაღდნები, დაგილამპროთ მობძანება.
ნიგოზს დავწვავთ, გაგინათებთ, ბატონმა თუ მოგვცა ნება.
მოგვე ცოტა შეღავათი, კერვით, რეცხვით მტკივა ცერი,
რაც აკვნიდან ავაყენე, გამ[illegible] დიდ ნემსიწვერით...
ბევრი ცრემლი [illegible] მწარეც ბევრი გამოვცალე,
გიბოდიშებთ გენაცვალე, ბალღის გაზრდა დამაცალეთ!

4.

მღერის დედა დარდიანი, ჩუმად, ხან ხმა გაგონებით,
ჯერ არა ჰყავს ოთხი წლისა, თავს დაადგნენ ბატონები!

### იავ-ნანა

ხელოსანის ღარიბ ქოხში
დედა დამღერს ბავშვის აკვანს.
რა ტკბილია ეს სიმღერა,
ბულბულების მღერასა ჰგავს!

★

რასა მღერის იავ-ნანა,
რას იძახის ვარდო-ნანა?
თითქოს ასი მტრედი ერთად
ღუღუნებდეს იავნანას!
კლდეზე კაკბის კაკანია,
ნანი, ნანა ვარდონანა;
ნეტა ვისი აკვანია,
პირი მოევარდიანა?
— დატკბი, როგორც თაფლი სკაში,
ამას ამბობს იავნანა,
— გაიხარე მზის კაშკაშით,
ა, ნანი, ნანა!
სხვას რას ამბობს იავნანა
აყოლებით ვარდონანა?
— მინდვრად იცდის მწიფე ყანა,
ფხანათელი, სიფრიფანა;
რომ არ დახრას ბუზანკალამ,
ბიჭს მოელის მოსამკალად.
კიდევ, კიდევ რასა მღერის,
ყელშექცევით იავნანა?
— ვინც დახორბლა პურით ყანა
სამართალი რას აქვს განა?
ზოგი ჩვრებში გაგვახვია,
ზოგი ცამდის აიყვანა!
რად არა ვართ ბარდიბარა,
ჩვენი — სხვამ რად გადიბარა?
თითონ დაჯდა ზემო თავად
ჩვენ ცხელ ოფლში გვაბანავა!
ცაში ქორმა გადიარა,
გული დამიდარდიანა,
ქორი ლუკმას გამოგვტაცებს,
გვიტრიალებს განიაგანა,
კლანჭები აქვს, როგორც დანა!
აგერ, ჩიტი ჩაჰჭირა,
შავ ღრუბლებში მიიმალა;
ადე, ბიჭო, გამიზარდე,
ჩამოაგდე ყირამალა!“
ამას ამბობს იავნანა
თან დასძახის ვარდო-ნანა!
ხმა გაფრინდა ვარდის ფურცლად
გაიფანტა ზამთრის ქარში,
ცას ვარსკვლავი ჩაეხვია,
და გადადნა მინანქარში...

### სისხლიანი მიწა

1.

საღამო ხანზე, როდესაც
ქოხში აბჟუტდა ლამპარი,
თავი კალთაში ჩაუდო...
— დედი, მითხარი ზღაპარი!
ან სალამური რას მღერის,
რას შრიალებენ ვერხვები,
ყაყაჩოს ხალი რათა აქვს,
ან მტრედს წითელი ფეხები;

2.

...იყო და არა იყო რა...
ერთმა გვალვიან ზაფხულმა
სიმშილი გამოიყოლა
არ იქნა, ცაზედ არ დაჩნდა
ამოხვეული ღრუბელი,
არ წამოშხეფა ცამ ცვარი
ცხელ ბუღის გამაქრობელი..,
ბაღი გახმა და გაფრინდა
ბულბული მისი მღერელი,
მინდვრათ ჩაჩუმდა ურმული,
სუფრაზე შემძახებელი!

სადღაც მთის კლდეში სცხოვრობდა
მოხუცი გათეთრებული,
პირუტყუარი, მართალი,
ქვეყნიდან განშორებული.
ხალხი მიადგა რჩევისთვის,
როგორც თაფლის ჯამს—ფუტკარი,
— ჩვენს გაჭირებას ულხინე,
რამე პასუხი უთხარი!
ღრუბელს—ზღვის წყალი გაძღობს,
ზღვას—წყალი შემომდინარი
ყანა ჩახურდა, ხე გახმა,
ჩვენი გამზრდელი ვინ არი?
ქადაგმა თავის ასწია:
სიმშილი მრეთა მრევია,
წადით და მიწა გარეცხეთ,
სისხლი მას გამოჰრევია!
დაბრუნდნენ. მიწა გარეცხეს,
აცალეს სისხლის წვეთები,
ხელთ ცარიელი ქვა შერჩათ,
ლოდები გაუცვეთელი!
— მთაში წავიდეთ, იქა ვცნათ,
იქ მიწა ქალწული არი!
ხალხმა მოსავლის იმედით,
მთისკენ გაიღო გრიალი...
მთაც ნასისხლარი გამოდგა;
ზედ ეცხო სისხლის ნიშანი!
არწივს ეკორტნა კაკაბი,
წითლად ებექნა ქვიშანი!
ვეფხვს გაეგლიჯა მთის ჯიხვი,
ეგდო რქა შემომტვრეული,
მძლავრს დაეჩაგრა უღონო,
ტორი დაეკრა მდეური!
ტყესაც მიჰმართეს,
ეძებს მიწა სისხლგაუდენელი,
იქ მონადირე შემოჰხვდათ
თოფით ნადირის მდევნელი!
ჭვალი მისდევდა ნასისხლი
შინდისფრად გადაწვეთილი
ტყეში სათაფლე ყვავილებს
ეყარა სისხლის წერტილი.

3.

გაჰკვირდნენ და შეიზარეს.
ტყე და მთები გადიარეს,
უკანასკნელ იმედებით
წყალს მიადგნენ: ზღვას მდინარეს, —
იქ იქნება წმინდა მიწა,
უსისხლო და უმწიკვლელი,
მაგრამ იქაც ისევ დახვდათ,
ის ამბავი გულის მკვლელი...
ამოიღეს წყლიდან მიწა,
თან ამოჰყვა კაცის ხორცი, —
ტალღას ფსკერზე დაელეკნა
მიწის პირზე დანახოცი...
წაიშინეს მაშინ თავში:
გვიჭამია სისხლის პური!
მიწას სისხლი მოჰრევია
და ჩვენ—ბედი უბედური!
შინ ადგნენ...
— დედი,
მიწა სისხლიანი რად არი?
სიმშილი და სიღარიბე
რად არი?
— დიდი სჩაგრავს პატარასა:
ზღურას სჭამს ხარბი ქორი;
კაცს ნადირის ხორცი უყვარს,
აფთარს უყვარს კაცის მძორი.
მებატონე გლეხებს სტანჯავს,
და მდიდარი ღარიბებსა;
ქვრივ-ობლები, გლახაკები
მოჰრეცხავენ ცრემლით გზებს:
დიდი არი ეს ქვეყანა
პირსაკრავი არ მოსწყდება;
მაგრამ კაციც და ნადირიც
დამჩაგვრელის ხელით ჰკვდება!
— ეი მიწა სისხლიანი რად არი,
სიმშილი და სიღარიბე რად არი!

# საბჭოთა პროფესორმა მხედველობა დაუბრუნა ესპანეთის რესპუბლიკელ მეომარს

„პრავდაში" მოთავსებულია ოდესიდან მიღებული შემდეგი ცნობა:

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ვ. პ. ფილატოვმა ამ დღეებში წარმატებით გაუკეთა თვალის ოპერაცია ესპანეთის გემის მეზღვაურს, რესპუბლიკური არმიის ყოფილ მეომარს ვიქტორ პასოსს.

ვიქტორ პასოსი მონაწილეობდა ბრძოლებში ტალავერასთან და მადრიდთან. ტალავერასთან ის დაიჭრა მარცხენა თვალში. ხანმოკლე მკურნალობის შემდეგ ვიქტორ პასოსი გაემგზავრა მადრიდის ფრონტზე და აქ ყუმბარის ნამსხვრევებით დაიჭრა მარჯვენა თვალში. მადრიდში მას გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ ცუდად. შემდეგ გამოირკვა, რომ ექიმი, რომელმაც მას ოპერაცია გაუკეთა—ფაშისტის ძმა ყოფილა. ვიქტორ პასოსს შერჩა მხოლოდ მარცხენა თვალი. ისიც ცუდი მხედველობით. მან დასტოვა ფრონტი და დაბრუნდა სავაჭრო გემზე.

ოდესაში, პროფესორ ფილატოვის კლინიკაში, რესპუბლიკელ-მეზღვაურს დაუბრუნეს ორივე თვალის მხედველობა. მაგნიტის საშუალებით პროფესორმა ფილატოვმა თვალებიდან მოაშორა პასოსს ლითონის ნამსხვრევები, ხოლო შემდეგ ოპერატიული გზით ამოსჭრა კატარაქტაც. ვიქტორ პასოსი ესპანეთში გაემგზავრა სავსებით განკურნებული.

პროფესორ ფილატოვის კლინიკაში პასოსი სამედიცინო პერსონალისა და სამკურნალოდ მწოლიარე ავადმყოფთა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. გამგზავრებისას მან დასტოვა მადლობით აღსავსე წერილი;

„კლინიკაში რომ მომათავსეს, მაშინვე დავრწმუნდი, რომ ბარბაროსთა ყუმბარისაგან დაკარგული მხედველობა ჩემს თვალებს კვლავ დაუბრუნდებოდა. მე მწამდა პროფესორ ფილატოვისა და მისი თანამშრომლების დიდი მეცნიერული გამოცდილება, მწამდა საბჭოთა მეცნიერების სიღრმე, რომლის ნაყოფი შემდეგ ჩემს მიმართ გამოვცადე ოპერაციისა და შემდგომი მკურნალობის დროს. საბჭოთა მეცნიერებამ, რომელმაც მხედველობა დამიბრუნა, შესძლო ფაშისტურ ბარბაროსობაზე გამარჯვება. მე აღვნიშნავ იმ უდიდეს ყურადღებას, რომელსაც ჩემს მიმართ იჩენდნენ პროფესორი ფილატოვი და კლინიკის მთელი სამედიცინო პერსონალი. ამ ყურადღებას ვგრძნობდი კლინიკაში ჩემი ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში. ეს ცხადჰყოფს, თუ რამდენად მძლავრად არის განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში ჰუმანიზმის გრძნობა. ღრმად ვგრძნობდი ექიმების სიხარულს, რომლებიც ჩემთან ერთად განიცდიდნენ ჩემი მკურნალობის წარმატებას. აღფრთოვანებული ვარ საბჭოთა კლინიკის ტექნიკური მოწყობილობით და ყოველგვარი პირობით, რომლებიც უზრუნველჰყოფენ წარმატებით მკურნალობას. ყველა ამისათვის გულწრფელი მადლობა საბჭოთა ხალხს და მის დიდ მეცნიერებს, რომელთაგან ერთერთია პროფესორი ფილატოვი. მადლობას ვუძღვნი კლინიკის მთელ კოლექტივს, აგრეთვე ყველა ავადმყოფს, რომლებიც ჩემთან ერთად მკურნალობდნენ და რომლებისაგანაც გარემოსილი ვიყავი სითბოთი და მზრუნველობით.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა მეცნიერებას!
გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!
სალიუტ.

ვიქტორ პასოსი".

◆

# ტუფის გადამმუშავებელი ქარხანა

(ქუთაისი „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის რაიონში (ბროლიქედის, ნავენახევის, ჭიშურისა და სიმონეთის მიდამოები) დიდი რაოდენობით მოიპოვება საუკეთესო ხარისხის სამშენი მასალა—ტუფი. ეს ქვა ცნობილია სპონგოლითის სახელით.

ადგილობრივი მცხოვრებნი დიდიხნიდან აქცევდნენ ყურადღებას ამ ქვას. მაგალითად, ხანშირელის და სიმონეთის ეკლესიებს, რომლებიც მე-17 საუკუნის მეორე ნახევარშია აშენებული, თაღები ტუფის ქვისაგან აქვთ გაკეთებული. სიმონ ჩიქვინიძეს და ზოგიერთ სხვა გლეხს ამ ქვისაგან სახლები აუშენებიათ.

გასულ წელს მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ტუფის ქვის სამეცნიერო-კვლევითი თვალსაზრისით. როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის კვლევითი ინსტიტუტის დასკვნები გვიჩვენებს, ამ ქვის მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი უძლებს ყოველგვარს სიმყავესა და წყალს.

ამ ქვის ნაფქვავისაგან კირთან შერევით მიიღება ახალი მასალა, რომელიც სცვლის ცემენტს და მასზე გაცილებით უკეთესი ხარისხისაა. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ამ ქვას აქვს რამდენადმე დრეკადობის თვისებაც.

ქუთაისის მახლობლად ჭიშურაში შენდება ტუფის გადამმუშავებელი ქარხანა, რომელიც მომსახურებას გაუწევს ადგილობრივ მშენებლობებს და დიდი მნიშვნელობა ექნება საკავშირო მრეწველობისთვისაც.

ტუფის გადამმუშავებელი ქარხნის საშუალებით ქუთაისის რაიონი საბჭოთა კავშირის უდიდეს მშენებლობებს საუკეთესო ხარისხის საშენ მასალას მიაწვდის.

ემ. გვასალია.

ქუთაისი. სამრეწველო ბანკის ახალი შენობა ამხ. ლ. ბერიას ქუჩაზე.
ფოტო იამასი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

თბილისის ყველა სკოლაში დაიწყო საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ გაკეთებული ისტორიული მოხსენების და სსრ კავშირისა და საქართველოს სს რ-ის ახალი სტალინური კონსტიტუციის შესწავლა. **სურათზე:** მასწავლებელი ამხ. სიხარულიძე თბილისის სტალინის სახელობის პირველ სანიმუშო სკოლის მე-7 კლასში ატარებს ახალი კონსტიტუციის გაკვეთილს.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

# შეჯიბრება ლენინგრადის მოკრივეებთან

4 მარტს, ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა ლენინგრადისა და თბილისის მოკრივეების შეხვედრა. დიდმა სპორტულმა ინტერესმა შეჯიბრებაზე აურიცხველ მაყურებელს მოუყარა თავი.

პირველ წყვილში უმსუბუქესი წონის ლენინგრადის ფალავანმა ნილოვმა დაამარცხა ბერიევი. ლენინგრადელების გამარჯვებით დამთავრდა მეორე შეხვედრაც, რომელშიაც, მარქაროვმა ბევრი ენერგია დახარჯა, მაგრამ ლენინგრადელი ოსიპოვის მაღალხარისხოვან ტექნიკასთან შეტევს ვერ მიაღწია.

დიდი ტემპერამენტით ჩაიარა ავეტისოვის (თბილისი) და კნიაზევის შეხვედრამ. კნიაზევი მეტად გამოცდილი მოკრივეა. იგი მუშურ-გლეხური წითელი არმიის საკავშირო ფალავნად ითვლება. კნიაზევი გაბედულად გამოდის შეჯიბრებაზე, მაგრამ მალე რწმუნდება ავეტისოვის კარგ მომზადებაში. ლენინგრადელის იერიშები თავდაცვით შეიცვალა. თბილისელის ძლიერმა დარტყმებმა კნიაზევის დაღლილობა გამოიწვია, რაც ავეტისოვმა კარგად გამოიყენა და გამარჯვებასაც მიაღწია.

დიდი ინტერესი გამოიწვია ბაქრაძისა და რიკუნოვის შეხვედრამ. რიკუნოვი კავშირის ცნობილი მოკრივეა, 1935 წელს მას საკავშირო პირველობა ეჭირა. წელს მან კავშირის უძლიერესი მოკრივეები დაამარცხა, რის გამო ამჟამად კავშირის ფალავნობის უძლიერესი კანდიდატია. პირველ „რაუნდში" ბაქრაძემ შეისწავლა მოწინააღმდეგის სუსტი მხარეები და ტემპის თანდათან გაძლიერებით შესძლო მოწინააღმდეგის დამარცხება.

მაყურებელნი ხანგრძლივი ოვაციებით მიესალმნენ ბაქრაძის ბრწყინვალე გამარჯვებას.

დანარჩენ შეხვედრებში გაიმარჯვეს ნიკოლაევმა, ონგემახმა და რუდომიოტკინმა (ყველანი თბილისიდან).

ლენინგრადს არ ჰყავდა მძიმე წონის მოკრივე, რის გამო ისინი კიდევ ერთი ქულით დაჯარიმდნენ და ამრიგად შეჯიბრება დამთავრდა 6:2 ანგარიშით თბილისის სასარგებლოდ.

შ. ფ-ძე.

◆

# კურორტ წყნეთის კეთილმოწყობა

თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველო კურორტ წყნეთის კეთილმოწყობის მიზნით კურორტის ზონაში 5 ჰექტარის ფართობზე აშენებს დასასვენებელ პარკს, ხოლო 8 ჰექტარზე იწყებს ტყის გაშენებას.

როგორც ტყისთვის, ისე პარკისთვის უკვე შეძენილია სხვადასხვა ჯიშის ფოთლოვან და წიწვიან მცენარეთა ნერგები.

გარდა ამისა, კურორტ წყნეთში წელს გაიყვანენ წყალსადენს. ამ მიზნით სწარმოებს ახლო მდებარე მთებში არსებული წყაროების გამოკვლევა.

# საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების სწავლება რესპუბლიკის სკოლებში

საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისად, 19 თებერვლიდან რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის უფროს კლასებში (7-10), აგრეთვე მოზრდილთა სკოლებში, ტექნიკუმებსა და მუშფაკებში დაიწყო სსრ კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციების შესწავლა. ამ მიზნით გამოყოფილია ორ-ორი საათი ექვსდღიურში.

ამჟამად საქართველოში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩათვლით, კონსტიტუციას სწავლობს 370 ათასზე მეტი მოწაფე. ცალკეულ მოწინავე სკოლებში სტალინური კონსტიტუციის შესწავლა ჯერ კიდევ იანვარს დაიწყო.

კონსტიტუციების სწავლება ხდება საქართველოში მოსახლე ეროვნებათა ენებზე —ქართულზე, სომხურზე, თურქულზე, აფხაზურზე, რუსულზე, ქურთულზე, გერმანულზე ბერძნულზე. და სხვ.

მასწავლებელთა კადრებით (ისტორიისა და საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელნი) სკოლები, მათ შორის ნაციონალურ უმცირესობათა სკოლებიც, სავსებით არიან უზრუნველყოფილნი. მასწავლებელნი განსახკომისა და სახალხო განათლების განყოფილებების მეთოდური კაბინეტებისაგან ღებულობენ მეთოდურ დახმარებას და ცნობებს ლიტერატურის მოსაძებნად კონსტიტუციების თვითეულ თავსა და პუნქტზე.

უახლოეს დროში განზრახულია ჩატარდეს ამ საკითხზე სპეციალური მეთოდური რადიოლექციები და მოეწყოს პასუხისმგებელ მუშაკთა გასვლა რაიონებში მასწავლებლებისათვის დახმარების გასაწევად.

მარტის დამლევს, საგაზაფხულო არდადეგების დროს, თბილისში შესდგება კონსტიტუციების მასწავლებელთა ფართო თათბირი. ასეთსავე თათბირებს მოიწვევენ რესპუბლიკის ყველა რაიონში.

საქართველოს განსახკომის განკარგულებით, სახელგამი 15 ათასამდე ეგზემპლარის ტირაჟით უშვებს სსრ კავშირის ადმინისტრატიული დაყოფისა და მართვა-გამგეობის უმაღლესი ორგანოების სქემებს და ასეთსავე სქემებს საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ. მასალები გადაცემულია დასაბეჭდად და მალე გამოვა.

მომავალი წლიდან სასწავლო გეგმაში შეიტანენ სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციების შესწავლას, აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დებულების შესწავლას ამ რესპუბლიკებსა და ოლქში.

განსახკომის თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელი საშუალო სკოლა (დირექტორი—ნინო ძიძიგური) ერთი პირველთაგანია იმ სკოლებში, რომლებმაც დაიწყეს სტალინური კონსტიტუციის სწავლება. აქ მეათე კლასებში კონსტიტუციის შესწავლა ჯერ კიდევ დეკემბერს დაიწყეს. თვითეულ კლასში წლის ბოლომდის კონსტიტუციების სწავლებას დათმობილი აქვს 30 საათი.

სკოლაში კონსტიტუციებს სწავლობს 320 ბავშვი. თვალსაჩინოებისათვის მოწაფენი თვითონ ამზადებენ პლაკატებსა და სქემებს. ახალგაზრდობა დიდად არის დაინტერესებული სწავლით, იძლევა მრავალ სხვადასხვა კითხვას.

სკოლაში იქმნება „კონსტიტუციის კუთხე", სადაც თავს უყრიან მეთოდურ ლიტერატურას კონსტიტუციების თვითეული თავისა და პუნქტის შესასწავლად, აგრეთვე სქემებს. მესამე სკოლის მოსწავლეებს, ამ კუთხის გამოყენების საფუძველზე, განზრახვა აქვთ სისტემატური დახმარება გაუწიონ სხვა სკოლათა მოსწავლეებს (საქდესი).

თბილისის ჩემპიონმა რეკორდსმენმა ველოსიპედისტმა გ. ესაიანმა მიიღო გაუმჯობესებული ტიპის ახალი მანქანა. ამ მანქანით ესაიანი იწყებს ვარჯიშს დამყარებული რეკორდების გადასალახავად. **სურათზე:** გ. ესაიანი თავისი ახალი მანქანით.
ფოტო ლინგისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

# კრებები

— **მწერალთა სასახლეში 7 მარტს,** საღამოს 8 საათზე საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბავშვო ლიტსექცია აწყობს პროფ. გ. თავზიშვილის მოხსენებას: **„პუშკინი, როგორც საბავშვო მწერალი".** მოხსენების შემდეგ გაიმართება მხატვრული ნაწილი. შესვლა თავისუფალია.

— **განათლების მუშაკთა სახლის** მცირე დარბაზში დღეს, საღ. 7-ნახ. ს. ამხ. მიხ. უზნაძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „საბავშვო ლიტერატურა". დასწრება თავისუფალია.

◆

# შემთხვევები

# **თავაშვებულობის შედეგები.** 4 მარტს საბარგო ავტომანქანა № 55-66, შოფერ ს. პ. ბაიანდუროვის მიერ მოძრაობის წესების უხეშად დარღვევის გამო, ამოს და კლარა ცეტკინის ქუჩების კუთხეში მთელი სისწრაფით სვლის დროს დაეჯახა № 102 სახლის კედელს. დაჯახების შედეგად ძლიერ დაზიანდა მოქ. ა. ხ. გასპაროვის ბინის კედელი. ძალიან დაზიანდა ავტომობილიც. შოფერ ბაიანდუროვს პასუხისგებაში აძლევენ.

#. 3 მარტს რუსთაველის პროსპექტზე მე-2 მარშრუტის ტრამვაის ვაგონმა მძიმედ დააშავა ქუჩაზე გადამავალ მოქ. ქ. ი. მელიქიშვილი (პლეხანოვის პროსპ., 131), რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს. ვატმან ტ. ი. თაბუკაშვილს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ.

# პუშკინის საღამო სამასწავლებლო ინსტიტუტში

თბილისის პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის კლუბში შესდგა ალექსანდრე პუშკინის დაღუპვიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პროფ. გ. ახვლედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქ. ცაკის დადგენილება თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის პუშკინის სახელის მიკუთვნების შესახებ გვავალებს გავამართლოთ დიდი პოეტის უკვდავი სახელი. ამ ინსტიტუტმა უნდა გამოზარდოს საუკეთესო პუშკინოლოგები, რისთვისაც გადაწყვეტილია მოეწყოს პუშკინის სახელობის ლიტერატურის კაბინეტი. ამ სიტყვებს აუდიტორია ტაშით შეხვდა.

საღამოზე მოხსენება წაიკითხეს: დოც. ანა ჩხეიძემ „პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება", დოც. დ. მგელაძემ „პუშკინის ენა", პროფ. გ. თავზიშვილმა— „პუშკინი აღზრდის და განათლების შესახებ", დოც. გ. ჯაფარიძემ —„პუშკინი ქართულად", და სტუდ. დ. გახოკიძემ —„პუშკინის დამოკიდებულება ნიკოლოზ პირველის რეაქციულ პოლიტიკასთან".

საღამო დასრულდა მხატვრული განყოფილებით. ინსტიტუტის სამკითხველოში მოწყობილია პუშკინის ნაწარმოებთა გამოფენა.

◆

# ახალი ამბები

○ **ჯანრთელობის სახალხო კომისარიატმა** პირველი კლინიკური საავადმყოფოს გასაფართოებლად 900.000 მანეთი გადასდო.

○ **სტალინის რაისაბჭომ** პირველ კვარტალში მუშათა ბინების კაპიტალური შეკეთებისათვის გადასდო 125.000 მანეთი.

○ **კურორტ ახტალის** გასაფართოებლად საქართველოს საკურორტო სამმართველომ გაიღო 500.000 მანეთი.

○ **საქართველოს ხელოვნების მუზეუმის** დირექცია მუზეუმის საგამოფენო დარბაზში აწყობს ქართული ხელსაქმის გამოფენას.

○ **კურორტ ბახმაროზე** შენდება ახალი საცხოვრებელი სახლი ავადმყოფებისათვის შენებლობა წელს ივლისში დამთავრდება.

○ **თბილისის აბრეშუმის** საქსოვი ფაბრიკა მუშებისათვის აშენებს სამსართულიან საექიმო ამბულატორიას.

## სასამართლო

# შუღლის მსხვერპლი

ამაო გამოდგა ძებნა, მთელი ქალაქის შემოვლა, მილიციასა და საავადმყოფოებში შეკითხვა, ნაცნობ-ნათესავების კარის მიკაკუნება.

— არა და არა! ისმოდა პასუხი, დაიკარგა, ნემსივით ჩაიყლაპა აგურის ქარხნის ცეცხლფარეში გაბრიელ ჯავახიშვილი, ივნისის საღამოს რაღაც საქმეზე შინიდან გასული.

ათასნაირი ფიქრი უელვებდა გაბრიელის შეწუხებულ და ძებნით მოქანცულ ცოლს თავში: თუ ვინმემ მოჰკლა, რათა? ვის რა დაუშავა! მას მტერი არა ჰყავს, თუმცა... ქალს თვალწინ წარმოუდგა მრავალი უსიამოვნო სურათი, ხშირი შეურაცხყოფა, დავიდარაბა, ჩხუბი გაბრიელის ღვიძლი დისა და სიძის—ნიკოლოზ გობეჯიშვილის მიერ ატეხილი. შარშან დანით დასჭრეს საცოდავი კაცი, სამ ადგილას მიაყენეს ჭრილობა!

გავიდა ერთი თვე, მეორე... გასული წლის პირველ სექტემბერს სოფელ ნიჩბისის მწყემსმა ბიჭუნამ თავმომწონედ ისკუპა ჯაგებში ნახირიდან გათიშული მოზვერის მისაბრუნებლად და საშინელებას წააწყდა: ნადირებისაგან დაგლეჯილი და შეჭმული ადამიანის ძვლები, თავის ქალა, ნაფლეთებად ქცეული შარვალი, სისხლით შეღებილი, ნაჯიჯგნი ფეხსაცმელი. ბავშვი შიშმა აიტანა, ერთბაშად დაურბინა. უმალვე გატრიალდა უკან, ამბავი სოფლის საბჭოს აცნობა.

შარვლის ჯიბეში აღმოჩენილ, ნადირის კბილებისაგან დაჩითულ პასპორტში ამოიკითხეს დაღუპულის ვინაობა: თბილისში, კონდოლის ქუჩაზე მცხოვრები მუშა გაბრიელ ჯავახიშვილი, სწორედ ის, ვისაც ასე დაეძებდნენ. სურათი განათდა, მდგომარეობა გამოაშკარავდა. გამოირკვა, რომ ეს საზიზღრობა ნიკოლოზ გობეჯიშვილის საქმე იყო.

რამდენიმე წლის წინათ გაბრიელის დედამ სახლი, რომელშიაც თვითონ და თავისი ვაჟიშვილი ცხოვრობდნენ, ქალიშვილსა და სიძეს (გობეჯიშვილს) დაუმტკიცა და გადაიყვანა კიდეც საცხოვრებლად თავის ბინაში დედის ასეთი ქცევა გაბრიელმა იწყინა.

— რათა, მამიჩემისეული სახლი ჩემზე უფრო უპრიანი არ იყო, ვიდრე სიძისთვისაო—ფიქრობდა. ამასობაში მოხუცი დედა გარდაიცვალა. ოჯახი აირია. გამწვავდა მეზობელ სიძე-ცოლისძმის დამოკიდებულება. ნიკოლოზი ვეღარ იტანდა ეზო-ყურეში „მეტოქის" გაჭაჭანებას. გადასწყვიტა გაბრიელის მოსპობა.

გასული წლის ივნისის საღამოს გობეჯიშვილმა მოხერხებით სურვილი შეასრულა. ეჭვების გასაფანტავად გვამი უცნობ, მიუვალ ადგილას—სოფელ ნიჩბისის მიდამოებში გადიტანა და გადააგდო.

თბილისის რაისასამართლომ, ამხ. გვეტაძის თავმჯდომარეობითა და პროკურორ ცინცაძის მონაწილეობით, გაარჩია ბოროტმოქმედ ნიკოლოზ გობეჯიშვილის საქმე მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა შორეულ ბანაკში გადასახლებით.

მ. გურდული

◆

# პარტკალენდარი

## ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

7 მარტს აგიტატორთა კურსების (ყველა ჯგუფი) მეცადინეობა. საღამოს 7 საათზე.

**პროპაგანდის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია საბრალმდებლო აქტია ფაშიზმის წინააღმდეგ". ქართულ ენაზე. საღამოს 7 საათზე. კონსულტანტი — ამხ. იაკობაშვილი.

„წიგნზე მუშაობის მეთოდიკის შესახებ". ქართულ ენაზე, საღამოს 7 საათზე. კონსულტანტი ამხ. ქვასელი.

— **ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში** 7 მარტს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის აქტივისათვის ქართულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის კლასობრივი სტრუქტურის შესახებ".

8 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სკოლისა და მეცნიერების განყოფილების გამგე ამხ. **ბ. შარია** ქალაქის პარტაქტივისათვის გააკეთებს მოხსენებას თემაზე: **„ბურჟუაზიული და სოციალისტური დემოკრატიის შესახებ".**

შესვლა საშვები ბარათებით.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი
6-III შემოდგომის აზნაურები

ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
6-III ჰრუბალური
7-III სიმფონიური კონცერტი დირიჟორი ხელ. დამს. მოღ. ორდენოსანი ევგ. მიქელაძე. სოლისტი ქალი გალინა ბარინოვა.

ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
3 მარტიდან დაიწყო გაცემა მუდმივი ადგილების ბილეთებისა (მთელი სეზონის).
მიმღებმა უნდა წარმოადგინოს ბინდობილობის ქაღალდი და ცნობა დავალიანების მთლიანად დაფარვის შესახებ.
მიღება სწარმოებს ადმინისტრაციასთან ყოველდღე დილის 12—4 საათამდე.
6-6 31

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
6-III წარ. № 118 ვერაგობა და სიყვარული
8-III წარ. № 119 იცკა რიჟინაშვილი
მუდმივი ადგილები ძალაში არ არის.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში
ოქტომბერი 6, 7-40, 9-20, 11 — ახალი ხმოვანი ფილმი მოგზაურობა არზრუმს
დამკვრელი 6, 7-40, 9-20, 11 — ახალი ხმოვანი ფილმი პოეტის ყრმობა
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-3 — ხმოვ. მხატვრ. ფილმი დარიკო
რ. ლუქსემბ. 6-30 8-40, 11 — ხმ. ფილმი ი. ბ. სტალინის მოხსენება საბჭოების საგანგ. მე 8 ყრილობაზე სსრ კავშ. კონსტიტუციის პროექტის შესახებ.
[illegible] სახ. 6-15, 8-15, 10-1 — ხმ. მხ. ფილმი უმზითვო საპატარძლო
ახალი ამბები დას. წ. 6-30 — ხმოვ. დოკუმენტ. ფილმი უძლეველი

სახცირკი ტელ. 3-11 44
2 წარმოდგ. დღისით პირვ. დასაწყ. 12 ს., მეორ. 2-30 წ.
დღეს, 6 მარტს საღამოს ფრანგული პროფესიული ჭიდაობის მატჩების მე 6 დღე ჭიდაობს 3 წყვილი
1. ვილიგური—ჭერდენი
2. რობ[illegible]—კროტოვი
3. კლემენტი ბული—სევერსკი.
აგრეთვე დიდი საცირკო პროგრამა 3 განყ.
წარმ. დასაწყ. 8 ს. 30 წ. ბოლ.—10 ს. 30 წ.

# ჟურნალ-გაზეთების ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმოწერის დროს თვალყური ადევნეთ, რომ სწორად და გარკვეულად აღნიშნონ ხელისმოწერის ქვითარში მისამართი, გვარი და **ხელისმოწერის** ვადა.

ეს ხელს შეუწყობს ჟურნალ-გაზეთების დარიგების გაუმჯობესებას.

თუ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთის მოტანა შეფერხდა, ან სრულებით არ მოგიტანეს, უწინარეს ყოვლისა ეს აცნობეთ ფოსტის იმ დაწესებულებას, რომელიც მომსახურებას გიწევთ და მოითხოვეთ, რათა თქვენი განცხადება საჩივრის წიგნში შეიტანონ.

საჩივარი უნდა დააკმაყოფილონ 48 საათის განმავლობაში.

3-2

საერთო საგამომცემლო საკონტროლო პოსტი.

ვ. წულუკიძე

# მასალები რუსთაველის ბიოგრაფიისათვის

ორი წელიწადია, რაც რუსთაველის წარმოშობისა და ვინაობის გამორკვევისათვის რეალური საფუძვლის დასადგენად მუშაობს ახალციხის მუზეუმის თანამშრომელი, ამავე რაიონის მკვიდრი ამხ. ნ. ნათენაძე, რომელმაც ამას წინათ თავისი მუშაობის პირველი შედეგები გააცნო რუსთველოლოგთა და მწერალთა წრეს.

იმ ეპოქას, როდესაც შეიქმნა უკვდავი ლიტერატურული ძეგლი—„ვეფხვის ტყაოსანი", გვაშორებს დიდი მანძილი. დღემდე „ვეფხვის ტყაოსნის" ავტორის ვინაობის შესახებ ზეპირ-გადმოცემებისა და ისტორიული დოკუმენტების მიხედვით გამოთქმულ ჰიპოტეზების გარდა, ფართო საზოგადოებისათვის არაფერია ცნობილი. ამიტომ გასაგებია ის კრიტიკული დამოკიდებულება, რომელსაც ვამჟღავნებთ ხოლმე რუსთაველის ბიოგრაფიის აღდგენის ყოველი ცდისადმი.

ამ სკეპტიციზმს არყევს და რამდენადმე ნიადაგს აცლის ამხ. ნათენაძის ნამუშევარი იმით, რომ ახალგაზრდა მკვლევარი ემყარება რუსთაველოლოგიაში დაგროვებული მასალების სერიოზულ ცოდნას, არქეოლოგიურ სიძველეთა, ისტორიულ წერილობითი დოკუმენტთა, მესხურ კილოკავის, ხალხურ გადაცემათა შესწავლას და, რაც მთავარია, მუშაობის უტყუარ მეცნიერულ მეთოდს. ამავე დროს იგი იჩენს სიფრთხილეს: დებულებებს ასაბუთებს არა მარტო თავის მიერ მიგნებული, არამედ რუსთაველოლოგიაში ცნობილი რამდენიმე არგუმენტით.

ნ. ნათენაძე იწყებს ზოგადი დებულებიდან, ზოგადი ცნობიდან „ვეფხვის ტყაოსნის" ავტორის ვინაობის შესახებ, და აღმოჩენილი საბუთების თანახმად თანამიმდევრობით მიდის კონკრეტულისაკენ. ასეთ ზოგად ცნობას, როგორც ვიცით, შეიცავს „ვ. ტ."-ის ოთხი სტროფი:

ა) დავჯე რუსთველმან, გავლექსე... (სტროფი 7);

ბ) მე, რუსთველი ხელობითა — ვიქმ საქმესა ამა დარი (სტრ. 8);

გ) ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისად ამისა (სტრ. 1741);

დ) ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა (სტრ. 1745).

ზოგადი ცნობის შემცველი ეს ოთხი სტროფი იძლევა გზას შემდეგი კვლევისათვის, შეიცავს რა გარკვეულ მითითებას მონახულ იქნას თვით პოემის ტექსტში მისი ავტორის მესხობის სხვა ნიშნები.

თუ „ვ. ტ."-ს ავტორი ნამდვილად მესხი იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ მის ნაწარმოებში წარმოდგენილი იქნება იმ კუთხის კილოკავი, საიდანაც პოემის ავტორი იყო. მართლაც, ამხ. ნ. ნათენაძე დღევანდელ მესხურ სასაუბრო ენაში პოულობს „ვ. ტ."-ში ხმარებულ ორმოცზე მეტ ისეთ სიტყვას, რომელიც გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ მესხურში და არსად სხვა კუთხეში. მათი მესხური გაგება უფრო უდგება პოემის სტროფების სათანადო კონტექსტს, ვიდრე ამ სიტყვების ის მნიშვნელობა, რომელსაც მათ აძლევენ ლექსიკოლოგები და კომენტატორები. ასეთი სიტყვებია:—„არმაღანი", „ნასი", „კაპანი", „მოსავსება", „ნიში", „ხადილი", „საქულბაგე", „შამათა", „დარანი", და სხვ.

მეორე რიგი სიტყვები, რომელიც ამხ. ნათენაძეს უპოვია მესხურ სალაპარაკო ენაში და რომლებიც იხმარებიან „ვ. ტ."-ში, გავრცელებულია ზოგიერთ კუთხეში, განსაკუთრებით მესხეთის მეზობლად მდებარე კუთხეებში (აჭარა, გურია, ზემო-ქართლი და სხვ.), მაგრამ აქ ისინი იხმარებიან ან სრულიად შეცვლილი, ან ნაწილობრივ შეცვლილი მნიშვნელობით. სიტყვების ამ ჯგუფს ეკუთვნიან: „ლალობა", „ნირი", „იჩქითი", „კუშტი", „ნარინჯი", „ნუკვა", „პაშტა", და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე ზმნისართებისა და დამაკავშირებელი სიტყვების ისეთივე გამოთქმა მესხურში, როგორსაც ვხვდებით „ვ. ტ."-ში. „ასვარე" (თორემ), „კიდე" (კიდევ), „მაგრა" (მაგრამ) და სხვ.

მესხურ კილოში, განსაკუთრებით მესხურ ხალხურ სიტყვიერებაში, იშვიათი არ არის აგრეთვე ზმნის შუაში ჩართული ნაწილაკები: „წამო-რევლო", „გა-ღა-ვლენოდეს", „შე-ცავ-ჯე", „გა-ცა-წყრა", „გა-ცა-ვფანტენით" და სხვ.

ამგვარად, „ვ. ტ."-ის ლექსიკისა და თანამედროვე მესხური კილოკავის ანალიზით, მათი ერთიმეორესთან შედარებით დასტურდება, რომ „ვ. ტ."-ში სჭარბობს მესხური კილო, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ მისი ავტორის მესხობა.

მაგრამ პოემაში მოიპოვება კიდევ სხვა ნიშანი მისი ავტორის მესხობისა. ეს არის ცალკე ადგილების, განსაკუთრებით, ქაჯეთის ციხის აღწერილობა. ქაჯეთის ციხის შედარება თმოგვის ციხესთან (ასპინძის რაიონი), ამ ორი ციხის საოცარი მსგავსება როგორც გარეგნული შეხედულებით, ისე შინაგანი კონსტრუქციით, ცხადჰყოფს, რომ ავტორს ქაჯეთის ციხის მოდელად აუღია თმოგვის ციხე, უაღრესად ცნობილი და მნიშვნელოვანი რუსთაველის ეპოქის დროსაც და შორეულ ისტორიულ წარსულში, ციხე-ქალაქი, ხელგანთქმული მთელს მცირე აზიაში.

რაკი ამ ნიშნების მიხედვით უდავო ხდება რუსთაველის მესხობა, ამიერიდან კვლევა გადატანილ უნდა იქნას თვით მესხეთში, რომელიც დღესაც სიძველეთა უმდიდრეს მუზეუმს წარმოადგენს და რომელსაც არ შეიძლება არ შეენახოს, არ დაეცვას რაიმე ცნობები ამ კუთხიდან წარმოშობილი ისეთი სახელგანთქმული ისტორიული პიროვნების შესახებ, როგორიც იყო „ვ. ტ."-ის ავტორი.

ამხ. ნ. ნათენაძე სწორედ ამ გზას ადგება, სწავლობს წარწერებს ძეგლებსა და საეკლესიო ნივთებზე, გუჯრებს, მესხეთის გეოგრაფიულ სახელებს, ნასოფლარებს, ხალხურ გადმოცემებს, ამოწმებს მათ, ადარებს ერთიმეორეს, იმარჯვებს ცნობილი რუსთაველოლოგების მიერ სხვადასხვა საბუთით მიგნებულ და გამოთქმულ ჰიპოტეზებს და ყველა ამ მასალის მიხედვით ამუშავებს „ვ. ტ."-ის ავტორის ბიოგრაფიის შემდეგ სქემას:

„ვ. ტ."-ს ავტორი, შოთად წოდებული, დაბადებულა მესხეთში, რუსთავში. მამა შოთასი—ჩახრუხა ყოფილა მესხეთის ცნობილი ერისთავი—ერისთავების ჩორჩანელ-ხურციძეების გვარის შვილი, სწორედ იმ გვარის შვილი, რომელმაც საქართველოს მისცა თორნიკე ერისთავი, ექვთიმე მთაწმინდელი და სხვა ისტორიული პირები. შოთა და მისი უფროსი ძმა, ადრე დაობლებულნი, გაუზრდია ბიძას—ჩორჩო-აგარის წინამძღვარს. ძმებს უსწავლიათ ჯერ მესხეთში, შემდეგ კახეთში და ბოლოს საბერძნეთში. სამშობლოში დაბრუნებისას ძმები, დიდად განსწავლულნი და პოეტური ნიჭით დაჯილდოვებულნი, თამარს დაუახლოვებია თავის კართან. უფროსი ჩახრუხას-ძე, გრიგოლი თამარზე გამიჯნურებული, იძულებული გამხდარა დაეტოვებინა სამშობლო. უმცროს ჩახრუხას-ძეს — შოთას დაუწერია „ვეფხვის ტყაოსანი" და პოემის ერთი გმირის—ტარიელის თავგადასავალში შეუტანია უცხოეთში გადახვეწილი თავისი ძმის ბიოგრაფიული მომენტები. შოთას, რომელიც ამიერიდან უკვე რუსთაველად იწოდებოდა, თამარის ზეგავლენით აღარ შეურთავს თავისი დანიშნული, აზნაურის ქალი ნინო და გამხდარა დიდი ფეოდალის ივანე ორბელის სიძე, უთხოვია ცოლად მისი ქალი დულა (გულდამი), ჰყოლია შვილი გაბრიელი. დიდი ლიტერატურული დამსახურებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის თამარს შოთასთვის უბოძებია ძველ ჰერეთში—დღევანდელ ყარაიაში მე-12 საუკუნემდე ბოსტან-ქალაქად წოდებული სამფლობელო, რომელიც განუახლებიათ და რომლისათვის შოთას პატივისცემის ნიშნად უწოდებიათ რუსთავი.

აღსანიშნავია ის, რომ ნ. ნათენაძის მიერ დაგროვილი მასალები ამართლებენ რუსთაველოლოგების მიერ გამოთქმულ ზოგიერთ ჰიპოტეზას რუსთაველის ვინაობის შესახებ. მაგალითად: ჯერ კიდევ პროფ. ხახანაშვილმა და სხვებმა გამოსთქვეს მოსაზრება, რომ ზარზმის ერთ წარწერაში მოხსენებული შოთა, მამა წინამძღვრის გაბრიელ ხურციძისა, შოთა რუსთაველი უნდა იყოსო, მაგრამ მათ არ მოეპოვებოდათ საბუთები გამოერკვიათ, თუ რა კავშირი ჰქონდა ზარზმის ტაძარს და საერთოდ ერისთავ-ხურციძეების გვარს მესხეთის იმ სექტორთან, სადაც რუსთავი (შოთას დაბადების ადგილი) მდებარეობდა. ახალი მასალებით ირკვევა, რომ რუსთავის თემის მფლობელნი ჩორჩანელ ხურციძეთა გვარიდან ყოფილან. მეორე მაგალითი: პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომ შოთა ორბელების სიძე იყო, მტკიცდება არა მარტო ხალხური გადმოცემით, არამედ იმავე ზარზმისა და აგრეთვე აძიკვის ბარელიეფის წარწერით.

დასტურდება აკადემიკოს ნიკო მარის მიერ სხვა საბუთების მიხედვით გამოთქმული დებულებაც, რომ შოთა იყო ჩახრუხას-ძე. მართლდება აგრეთვე პ. ინგოროყვას მოსაზრება, რომ „ვ. ტ."-ის ავტორმა შოთამ ტარიელის ორეულად გამოიყენა გარდახვეწილი ჩახრუხას-ძე.

ამხ. ნ. ნათენაძეს, გამოაქვს რა თავის მიერ შეგროვილი მასალა რუსთაველოლოგების სამსჯავროზე, აუცილებლად მიაჩნია ამ მასალის შესწავლასა და კრიტიკულად ათვისებაში მონაწილეობა მიიღონ ჩვენმა სამეცნიერო ძალებმა, რომლებიც, რასაკვირველია, არ უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ შეგროვილი მასალით და მოაწყონ სპეციალური ექსპედიცია მესხეთის ძეგლების შესასწავლად, არქეოლოგიური გათხრების მოსახდენად.

◆

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მუშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კომის ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ვ. 8537